

უბანი 8 კაპ.



მეზობელი

(გაგრძელება. იხ. „ჩრადანი“ №№ 15-16).

მზე ეფარება მთებს და უკანასკნელ კონცანს უგზავნის ქალაქს.

ყაზარმა ხმაურობს...

ახალ-წვეული დგანან ჯგუფ-ჯგუფად და გაცივრებულნი ათვლიერებენ საერთო ოჯახს. სიმღერა სიმღერას სცვლის და გადადის რალაც წარმტაც ზუზუნში, თანდათან იწვეს საღვთო უხილავ სამყაროში და მიაქანებს თან მსმანელს სიოს მოლიტინე ფრთებით: ჰგონობ: თითქოს ვიღაც გწვეს სიცოცხლისაკენ, უკვდავებისკენ და ითქვიფები ამ ნირვანაში...

საქართველოს ყოველ კუთხის ახალგაზრდები სხვადასხვა ჰანგებით, მაგრამ საერთო, ჰარმონიულ ფერხულშია.

თვალწინ მიჭრიათ, კინო-ლენტავით, სურათები ძველი დროის, ძველი ყაზარმის, როდესაც იზრდებოდნენ მხოლოდ მიწები, თავისუფალ ადამიანთა, თავისუფალ მოქალაქეთა მაგიერ და აღარებ ეხლანდელ წითელ ყაზარმას, მშრომელ ახალგაზრდათა სიხარულით აყვავებულს და კედლები განზე იწვივან, ჭერი მალა მიქეჩაყა, რომელსაც ჩამოუწყვეტია საკინძი, გაუღია უბე და ჩაუხუტებია გულში მომავალი წითელი გმირები თავისუფალ რესპუბლიკისა.

აქვე არიან ჩამწყვრივებული ზოგი, დროებით დარჩენილი, უვადო შევებულებაში მიმავალი წითელი არმიელები, რომელთაც ურიგებენ ტანსაცმელს და ბევრ სხვა საჩუქრებთან ერთად სამხედრო სამსახურის გაცნობათა წიგნაკს და სხვა.

ისინი სიყვარულით შეჰყურებენ ახალწვეულთ და მღერაინ.

ახალწვეულნი ილიმებიან სიხარულით.

ვანო ისე მოიხიბლა, რომ გონს ვერ მოსულა, თუ სადაღა და თავი ნიზმარში ჰკონია.

მოუსვენარი ტატო ფანდურას არ ასვენებდა და დამღეროდა მარილიანად თავისსავე შეთხზულ ლექსს:

„წამოველ ყაზარმაშია, რომ ეგმსახურო ხალხსო, სოფელში დამრჩა სტრუფო, და ბოი არ ჩამაცემს თალხსო?“

ალაღე და ვალაღეო, გოგოვ შენ გენაცვალეო; სამსახურს რომ გავათავებ— დაგიბრუნდები მალეო.

ჯერ კი უნდა ვიმსახურო— შევება მშრომელი მტერსაო; თუ კი რამე გავგიბედა— ზურგზე ავადენთ მტერსაო.

აზნაური დაწაწალებს— თავადი იკბინებო; დღეს მათ გლეხების გაყვლეფის რადგან არ მისცეს ნებაო.

მღვდელს მუცელი დაეფუჟა, რადგან მოაკლდა ტაბლაო; ზემოთკენ თავს ველარა სწვეს და იყურება დაბლაო... და სხვა.

წასკდა სიცილი ყველას.

ვანო... ვანო კი გაიტაცა თებროზე ფიქრმა. იმას არ ასვენებდა აზრი, რომელიც ალუძრა ტატოს მიერ ნამღერა სიტყვებმა: „სოფელში დამრჩა სტრუფო და ხომ არ ჩამაცემს თალხსაო“.

— იქნება მილატოსი?— ფიქრობდა ის, მაგრამ დარწმუნებული იყო მის სისპეტაკეში და ამით იმედოვნებდა.

ტატო კი განაგრობდა დაკვრას და, ააყოლა ლექტრს.

ერთი ახალწვეული და უვადო შევებულებაში მიმავალი წითელიარმიელი გადაეშვა ტაშით ახმაურებულ წრეში.

მარდად სცვლიდა ფეხი ფეხს და მკვავები კამარას ჰკრავდნენ ჰაერში.

სუფედა საერთო დღეობა.

უვადო შევებულებაში მიმავალი ეთხვეებიან აქაურობას და მიდიან.

თითქოს უზარიათ რომ განთავისუფლდნენ სამხედრო სამსახურიდან და ნახავენ თავიანთ სოფლებს, სიყრითი შეჩვეულ მხარეს, საყვარელ მშობელთ და ყველა ნაცნობებს, მაგრამ ეტყობათ დღღერეშილობა.

თითქოს ენანებთ დატოვება იმ ოჯახის, სადაც შევისხლბორცენ ერთმანეთს ჩვენი

ქვეყნის ყველა კუთხის მცხოვრებნი, სადაც შეიძინეს როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური და ლიტერატურული ცოდნა, სადაც ყაზარმა კი არა, სკოლა იყო და ყველა წრეების ხელმძღვანელები, მასწავლებლები, პოლიტიკელები, უფროსთა შემადგენლობა, ლეგიონის უფროსი და სამხედრო კომისარი— ერთმანეთს ექიშპებდნენ მათს სიყვარულში.

ამ საერთო ზეიშში ცალკე გამდგარან ორნი ძმანი— ერთი ახალწვეული და მეორე უვადო შევებულებაში მიმავალი.

— აბა შენ იცი სიმონ, არ შეარცხენო ჩვენი ოჯახი.

მე გავათავე სამსახური და მივიღეარ სახლში, ჩემ მაგიერად შენ მოხველ და ვინძლო გვასახელო.

— მოგიკვდეს მამინ ჩემი თავი, თუ...— ამაყად ეუბნება უნცროსი ძმა.

— აი ხომ ხედავ იმ აღმოდებულ დროშას ჩვენს გასაცილებლად რომ ფრიალებს— განაგრძო კვლავ უფროსმა— ის, რეველუციის ქარცეცხლშია აწყვეტილი და მშრომელთა სისხლში ამოვლებული, რომელიც სულ მალა მიიწვეს მხურვალე მზის კონცანში დასაფერფლად, უნდა დაიკვა ისევე პატიოსნად, როგორც მე! მომეცი ფიცა!

— ვფიცავ საყვარელ დედას! და ვადაეხვიენ ერთმანეთს, კოცნით, სიხარულით ორივეს აუთენილდა თვალები...

გამომშვიდობებო... ახლები სცვლიან ძველებს...

ახალწვეულნი კარანტინში, ექიმი სინჯავს ერთ ჯგუფს.

— თქვენი გვარი?— ეკითხება ექიმი.

— ჰეტრიაშვილი, ბატონო.

— არა, ამზანავო, ბატონის თქმა ეხლა აღარაა საჭირო. ეგ წინად იყო. ეხლა ყველა—

ნი თავისუფალი მოქალაქენი ვართ და, მაშასადამე ამზანავები. ამის შემდეგ „ამზანავო“— ბით უნდა მიმართოთ ყველას— ეუბნება იქვე მდგომი პოლიტბელი.

— კარგი ბატონო... უკაცრავად, ამზანავო, ვეცდები.— თვითონვე გაისწორა.

ზოგიერთებს სიცილი წასკდა.

— აბა, ტანსაცმელი გაიხადეთ.

— რათა შენი ქორიმი?

— რათა და, უნდა გაგსინჯო, ავად ხომ არა ხარ.

— ჰე, ჰე, ჰე, — დაიწყო სიცილი — სა-
ავადმყოფო აბა რა მჭირს? ჰამის მალე კარგი
მაქვს, ჰეობაში ვერაინ მჯობნის და ხუთ-
ფუთიან ფეჭილის ტომარებს ბურთივით ვათა-
მაშვებ.

— მაშ სამსახური გინდა?

— ბიკოს! რომ არ მინდოდეს ხომ მოვი-
კურთხობდი სნეულსავით, აი როგორც ნიკა-
ლას დროსა შერებოდნენ.

— ვაშა! — გაისმა აქა-იქ საერთო სიმზიარუ-
ლემი.

— შემდეგი? მახარაშვილი!

— ჰა? მე მეძახით? — ქეჩო მოიფხანა ზან-
ტაღ.

— ჰო, შენ, გაიხადე.

— ოო, ნელა, ნელა; მთელი ჯანი მტკივა.

ზორბა ვაქცატი დაიღრიადა. დამსწრეებს სი-
ცილი წასკდათ.

— შენა, შეილოსა, არც იქ, სოფელში ვარ-
გოდა და არც აქა. შენიშნა ვანომ და ზიზ-
ლით გადახედა თავის თანამეოვლებს.

— პარამი არ ათის იგ შენი ტანი შენზე? —
დაუმატა მუკანდურე ტატომ.

— მე და ჩემმა სიყუმე, ასეთებს აღვცა
არ უნდა ჰქონდეს მუშურ გლეხურ რესპუბლი-
კაში! — ამბობს კვლავ ვანო, გულის ტკივილით.

თანამეოვლები შეაოცხვინა.

ექიმი ჯანსაღად სცნობს.

— ვარგა.

მახარაშვილმა თავი დალუნა და შერცხე-
ნილი გავიდა.

— აბა, შემდეგი!

— მე და ვარ დარჩენილი ამხანაგო ექი-
მი. — წაპოვდა ვანო.

— თქვენი გარი?

— ახალაშვილი. — მიუფო.

— გაიხადეთ.

— არა, მე ისედაც კარგადა ვარ. ა, იმ დო-
კლაპიას კი არა გვევარ. აივინზე მღვარ მახა-
რაშვილზე მიუთითა.

ექიმს სახე უნათლდება.

ამ დროს შემოსული სამხედრო კომისარი
იღიმება და ძმურ მზრუნველობით მხარზე
ხელს ადებს. ეკითხება სოფლის ამბებს, ესა-
უბრება სხვა და სხვა საკითხებზე და იმ და-
სკვნამდე მივიდა, რომ ვხლანდელი ახალწვე-
ულნი უფრო შეგნებულნი არიან წინანდელე-
ბზე. აქვე ვაიკო, რომ ვანოს უფროსი ძმაც
ანავე ლეგიონში იყო, რომელიც ეხლა სო-
ფელში მუშაობს, უხვად იყენებს წითელ ყა-
ზარში ში შექმნილ ცოდნას.

— როგორც მახსოვს, წერა-კითხვაც აქ
შეისწავლა!

— დ ალ, მეც მან მასწავლა, უფადო შე-
ბულ მასში, რომ დაბრუნდა.

— მაშ წეოა კითხვა იცი?

— ისე, რაღა. ცოტაოდენი.

— ძალიან კარგი, აქ დაგამთავრებინებთ, —
უფნება გახარებული სამკომი.

— ძალიან მაღლობელი ვიქნებოდი ამხანა-
ნავო სამხედრო კომისარო, რომ მეც იმავე
ასეულში ჩამრიცხავდეთ, სადაც ჩემი ძმა ნი-
კუა იყო, რადგან მისგან გაგებულნი მაქვს,
რომ ძალიან კარგი ასეულის უფროსი და პო-
ლიტბელი მოყვანდაო. სუყველასთან მოკითხ-
ვაც კი დამაბარა.

— აქ ყველანი კარგები არიან, ამხანაგო,
მაგრამ რადგან შენ ასე გინდა, მაშ მე ვეტყ-
ვი ლეგიონის უფროსს, რომ იმ ასეულში ჩა-
რიცხოს შენც. ვგონებ მეორეში იყო.

— დილა. — დაუმატა პოლიტბელმა.

ორი კვირა და... ვანოს პირველი წერილი
მიჰქრის თებროსკენ, სადაც ვერ მალავს თა-
ვის ალტაცებას, რომელიც განიცადა წითელ
ყაზარში.

ქალაქი ხმაურობს.

წითელი ყაზარმა ამაყად სდგას რევოლუ-
ციის სადარაჯოზე.

იზრდებიან წითელი გმირები ძველი ქვეყნის
ნანგრევებზე ახალი ცხოვრების ასაგებად.

ვანო ერთი საუკეთესო წითელარმიელთაგა-
ნია.

შინა სამსახურის და საგარეო გონიერ
სების წესდებები უყვე იცის, სამხედრო სასა-
ხურს მალე შეჩვიდა და ეხლა კულტურულ და
პოლიტიკურ ცოდნას დაეწევა. თუ თავისუ-
ფალია მასზე აღერ არაინ მია, წითელ კუთ-
ხეში! — პოლიტ საათზე, პოლიტ-სათამაშოებში
ხომ ბადალი არა ჰყავს.

იგი ყველას უყვარს, ყველას სამაგალითოდ
ჰყავთ.

კედლის გაზეთის რუმივი თანამშრომელია:
ათაგ-ებს თავის შეთხზულ ლექსებს, ასეულის
ცხოვრებას, თავის შთაბეჭდილებებს წითელ
ჯარში სამსახურის და სხვათა შესახებ.

ეს ერთი კვირაა რაც ლიტერატურულ და
დრამატულ წრეებში ჩაეწევა.

წუხელის პატარა როლი შეასრულა პიესა
„სიყვლილი დასჯა“ — ში და სიხარულით ფე-
ხის ცერებზე დგება.

ის უკვე მომავალ გეგმებს აწყობს, თუ აქ
შემჩნილ ცოდნას როგორ გადაიტანს სოფ-
ლად.

აქ კიდევ ერთა უზრი არ ასვენებდა, რომ-
ლის გამოძევაინდასაც ვერ ჰხედავდა, მა-
გრამ ეტყობოდა კი, რომ ძალიან მოყვალა-
თებინა ფიქრთა საღაროში.

ეს იყო მეთაურთა სკოლაში შესვლის სურ-
ველი, კუოსანტობა, რომ... მაგრამ რა გაახ-
სენდებოდა თავისი ამ საქმისათვის საქმარისი
ცოდნის სიმცირე — თავს ჩაღუნავდა უიმედოდ.

მან გადასწყვიტა — რაღაც უნდა დასჯდო-
მოდა შეესრულებინა წადილი და შეუდგა
მოცლოდ დროს მეცადინებას. იმედი ჰქონ-
და ყველას დახმარების. თითონ ხომ იყო,
მაგრამ არც სხვებს აღვცდა მოვიგნებას, ყვე-
ლას ეჩინებოდა სამსახურის წესიერად აღ-
სრულებაც, რათა არ შეერცხვინათ მშრო-
მელთა ოჯახი.

ყველზე კარგი მეგობრობა მასა და მეუან-
დურე ტატოს ჰქონდათ.

მ. ხარაშვილი ხომ დეზერტრად გაიქცა,

რისთვისაც არა ერთხელ მიმართეს ლეგთავს
და სამკომს ამ ორმა მეგობარმა, რათა გე-
გზავნათ იგინი იმ „დოკლაპიას“ ჩამოსაყვა-
ნად სოფლიდან, კინწისკერით.

ლეგიონი გავიდა საკარვოდ.

ბუნების ლალ წიაღში აეშვა წითელი დრო-
შა. მწუანე ქათიბზე გადაიქიმა, თეთრი ლი-
ლებივით, კარვები.

ლამემ ნისკარტი ჰკრა ზაფხულის მზით
დამწვარ დღეს და პაპანაქებით ატრუსვილ
დღედამიწის გრილმა სიომ უბეს გაუთამაშა,
თავში წამოუსვა ყურებ დაშეგებულ ხეებს და
შეიანჯღრა, თითქოს საჭიდაოდ გამოსულ
ფალავანს ღონეს უსინჯავსო.

მინდვრათ აეშვა ბალახის და ყვავილების
სუნი.

ჭრიკინებმა გააბეს მომამბურებელი კონ-
ცერტი.

ბადრი მთვარე ამოგორდა მთებს იქიდან
და აღსკო ბრვიალამ სილა სტეკია მოციმი-
ციმე ვარკვლავებთან ლურჯ ეკრანს და და-
ჩრდილა პაწია მნათობნი თავისი უდიდესი
ელექტრონის თვალებით; ყბა აღრეცით გად-
მოხედა ბანაკს, რომელსაც ზღაპრული ბუმ-
ბერაზებზე ჩამწკრივებულან თეთრი კარ-
ვები, სადაც სძინავთ წითელარმიელებს.

ირველიც სიჩუმე...

აქა იქ თუ გაიგონებთ გამწვსრიგებლის ხმას,
რომელიც გუშავებს სცვლის.

ვანო ყველაზე განაპირა, საბარგო საწყო-
ბის საგუშავოზეა.

მისი ელვის თვალები ფხიზლად ზეერავენ
მიდამოს.

წყნარის, აუჩქარებლის ნაბიჯით უვლის
გარს საწყობს. ამ დროს, შორს, შარა გზი-
დან მოესმა ურმის ქრიალი და მეურმის სიმ-
ღერა, — ყურები სცქვიტა, სახეზე ღიმი აუ-
თამაშდა და შეჩერდა... შეჩერდა. მთლად
სმენად გადაიქცა. თოფი ჩამოიღო მხრით და
ზედ დაეყრდნო.

მის სიხარულს საზღვარი არა აქვს. მას
მოაგონდა თავისი სოფელი, ღამე ასევე ურ-
მის კოფოზე ჯდომა და სიმღერა, მოაგონდა
თავისი სოფელი, მშობლები, მხარე, სადაც
ასე ტუბილი იყო მისთვის; მოაგონდა ბავ-
შვობა, სიცოცხლე, მეგობარ-ამხანაგები, ღამის
მეხრობა, დედა, მამა, ძმა და... კიდევ ის,
ვისი სასიყვარულო აჩრდილიც მარად თან
სდევდა.

თებრო! — ო, რა წმინდა იყო მისი სიყვა-
რული.

რაც სამხედრო სამსახურშია, ასე არა დროს
გაოტაცინა ფიქრს თავის სოფელზე.

რაც დრო მიდიოდა, მით უფრო ღრმად
ეფლებოდა აგორებულ ფიქრთა მორგეში.

აი თითქოს თავის სოფელშია, კალოზე ძნას
ამოთარებული ზის კევრზე თავის თებროს-
თან და ჩრდილში ემალება მზეკრავ მთვარეს,
თოფს მაგრა იკრავს გულში და ეალერსება,
რომელიც თებრო ჰკონია; მის ნეტარება!
საზღვარი არა აქვს, მაგრამ... ჩუ! ეს ვინ
ეპარება?

— თებრო! მამაშენია. წადი გენაცვალე...

ნაკადი

(ძღვანთ ავტორის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის არხზე მომუშავეებს)

არ გენახოს. აბა, ხელამდის...—და უნეტარე-
სი ჩაქონება ვარდის ტურბინაში, კოცნა უსა-
ყვარლესი, აუწყრელი საღებური გულის...

გამობრუნდა. შაა ესაა ლობიზე უნდა გა-
დახტეს და... ხალათის კალთა ვილაქამ დაუ-
ჭირა უკანიდან, მას თებროს მამა ჰგონია,
მაგრამ რა მობრუნდა ჰხედავს ლობის ძეძვზე
გამოსდებია, დაიბნა, გული შეუწუხდა, სირ-
ცხვილი სწვავს... ხელებში ცივი საგანი იგრ-
ძნო, დახედა—შაშხანა იყო. შეაქრყოლა,
შებლზე ხელი გადაისვა და გამოერკვა.

ცივმა ოფლმა დასახა და ქრუნტელმა და-
უარა ტანში, გაახსენდა სადაც იყო. ხალათი
გაინთავისუფლა ეკლიან მავთულ-ხლართისაგან
რომელიც მას ლობის ძეძვი ეგონა, და სასწრა-
ფოდ შემოუარა საწყობს, გასინჯა კლიტე და
ბეჭედი—ყველაფერი რიგზე აღმოჩნდა, მაგრამ
ვანოს გული მაინც არ ისვენებდა, სირცხვილი
სწვავდა რომ ასეთი უყურადღებობა გამოიჩინ-
ნა, თავს სისუსტე უსაყვედურა. ახლა იმ ფიქ-
რმა გაიტაცა, თუ რათ მოუფიქრა ეს, იქნება
რამე უბედურება მომხდარიყო მისი უყურად-
ღებობით; მერე როგორღა გამოეყო თავი ამ-
ხანაგებში და სხვა... ვინ იცის რანაირი ქარა-
ვენები არ ეხვეოდნენ ფიქრთა, მის გუნების
სალაროს...

აი, თითქოს მოვიდნენ ბოროტგანმზრახვე-
ლნი, ის ფიქრში გართული შეკრეს, ანუ მო-
ჭკლეს, დასტენეს საწყობი, გაიტანეს სახელ-
მწიფო ქონება, რომელიც მას ებარა და... მან
კი ვერ აღასრულა გუშავის მოვალეობა, რის-
თვისაც რეკტრიბუნალი ასამართლებს.

და... ყრულ შეჭკენსა.
— მაშინ სიკვდილი სჯობდა!

მამლებმა იყვილეს.
სიბნელეში რამდენიმე ლანდი შეამჩნია.

— ვინ მოდის!
და თოფი მოიმარჯვა.
— გამწყვდარიყვები!
იყო პასუხი.

იცნო.
ვანო გასწორდა.
— თქვენი გასანდო?
ეკითხება შემცვლელ გუშავს.
უთხრა.

ყველაფერი რიგზე ჩაიბარა და გაჰყვა და-
ნარჩენ გამოცვლილებს კარავისკენ.

ვანოს თვალებს ძილი არ ეკარება, მას სი-
ნიდისი ჰქენჯნის წუხანდელ წუთიერ უყურად-
ღებობისათვის, მას მოსვენება არა აქვს,
მის გონების წინ მიჰქრებიან ლენტები სხვა და
სხვა მოგონებათა...

ჩასთვლიმა...

გაისმა ბუკი.
ლეგიონი ფეხზე დადგა, საომარი წესით სა-
დაც მიემგზავრება.
სამხკომი უხსნის მიზნს.
ლეგიონი ვაშს ძახილით და მუსიკით მი-
დის რევოლუციის და წითელი დროშის და-
საცავად.

ს. ბუქურაული.

პიტალო კლიდიან
გადმონაქუბი,
აქაფებულო
და შენაწუხი,
ნაკადი მთისა
ძირსა ევლებო...
არის შეძლება
ტიტანიური,
გიჟი კვეთება
არის მთიური
და გაქანება
არწიფიური!..
მე მიყვარს ძალა,
ბორკილ-აყრილი,
მიყვარს მე არხი,
მისგან გაჭრილი,
მინდა მის ზვირთზე
გადაკონება,
მასთან ლაღათ ჰქრის
ჩემი გონება,
რადგან ის სიერცეს
შორს ეწონება
და დაბრკოლებებს
არ ემონება!..

ერთია ცული
ნაკადის ბედში:
შეჩრილა საღლაც,
ორწობში, ქედში,
ძალა კი თუმცა
მოუკრებია:
მისი მორჩილი
ყველა ქვებია,
მათ იგი არღვევს
და ერეკება,
დაბრკოლების წინ
არსად არ დრკება,
მაგრამ თავდაღმა
ის რომ ეშვება,
ასეთ წინსვლაში,
არ არის შეება...
ფილოსოფია,
მეცნიერება
და ეს, ამ ქვეყნის
მშვენიერება
ისე უაზროთ
არ გაჩენილა!
რაც კი ამდგარა
და აღენილა,
რაც კი უსაზღვროთ
გადაფენილა,
(თუ კი ის ომში
გადარჩენილა),
ამას სუყველას
ფასი აქვს მითი,
რომ ნამდვილია
და არა მითი!..
მითია კიდევ
ის ფასდებულო,
რომ მკვდრათ, უსულოთ
არ არს დებულო,

რომ იქ, სადაც თუნდ
იმ რუს არხია,
უსაზღვრო ძალაც
მასში მარხია!
„იქ, სადაც სდუმან
პირამიდები“...
სადაც მარხიან
ძველი მითები,
სადაც ტალები
ზღვისა შფოთავენ,
თუნდა, სადაც რომ
გველი ხობავენ,
სად ჯვირნები
ყველთ იღვრებენ:
გარბიან და მტრებს
მით იგვრებენ,
სად აელვებენ
კბილებს აფთრები,
ლომი და ფეხი,
მათი ჰამქრები,
ეს მეგობრები,
იმავ დროს მტრები,
ქვიშას არხევენ
უდაბნო ცხელში,
წყვილ ჩირაღებით
ოდიან ბნელში...
ემებენ ტყეში...
ემებენ ხვრელში...
მშვიდ ჯვირანსა,
თუ ასპიტ გველში
მტერს და მეგობარს
თვისას ჰპოვებენ,
თვალსა და მუცელს
მით ამოვებენ,—
აქ ყველგან ძალის
არის ჩინება,
მისი საბაბი,
მისი ღინება,
მისი სიაცე
და დაღბინება!
მისი ტირილი
და გაცილება...

ძალა კი ქვეყნის
არის მშვენიება,
მასში რღვევაა
და აშენება,
ბნელია ღამის
და გათენება,
უძრავათ დგომა,
თუ გაქენება,
დაბადებაა,
თუ გასვენება,
იღუშალობა,
თუ რამ ჩვენება,
დავიწყებაა,
თუ გახსენება,
დამიწება, თუ
აღმოცენება,
რამაც ინებოს,
ან რაც ენება:

ყოფნა, თუ ყოფნით
გარდაყენება,—
ეს ყველა ძალის
არის ჩვენება,
ეს ძალა არის
რკინა—ცხენება!..

მაგრამ ის ასე
გაკაბულებული,
არ ვარგა მაინც
თავაშვებულთ:
მას ცოდნით უნდა
გამოყენება,
გამოგეშება,
და მოშენება,
მაშინ—ყოფნისთვის
უმისოთ მარცხი—
არის ბერკეტი
და აზარამაცი!..

სადაც პიტალო
კლდიდან ტყორცნილი,
მზის სხივით ხარბათ

გადაკოცნილი,
გიჟი ნაკადი,
აქეაიღული,
არის ჩანჩქერად
გადმოკიდული,—
იქ თვით არხია
ქვა-დაკბული
და იქით-აქეთ
მთა, აზიდული,
თითქოს და ცაში
წვერ მიბჯენილი,
თავზე არწივ-ლა
გადაფრენილი,
სდგას ისე, როგორც
ბასრი ფანქარი,
როცა საწერად
იგი მზად არი!..

მთის ძირში არის
გაშენებული
სოფელი, უხვათ
დამშენებული
ბაღი-ბაღჩეებით,
ზერებით, ყანებით,
სამოვრეით და
ქობთა ბ.ნებით,
ზამთრობით-თეთრად
გადაპენტილი,
გაზაფხულს-ლორჯათ
ყურ-აცვეტილი,
ზაფხულში-მწვანეთ
ამოტეტილი,
დღისით—ტანსაცმელ
ჩამოფლეთილი,
ღამით—საძილოთ
კარ-ჩაკე *ილი,
შემოდგომაზე
ის მოოქვრილი,
დღითა და ღამით
რო სცივთ ცვილი,
და თრწობიდან
ღელის წისქვილი
დღიან-ღამიან
ხმაშეწყობილი

ისეა, როგორც
კონცერტი, ტკბილი...
მიდის დროება
და, წისქვილი ფქვავს“...
დამდგარი ჯერ ის
არვის უნახავს
და შეწყვეტილი
მისი ხმაური
დასაშვებია
რამ უცნაური!
ვისაც კი მისგან
აქვს რამე შველა,
მას გაკვირვებით
შესტკეპრის ყველა:
„დაილოცოსო
კაცის გენია,
რომ აგეთი რამ
გაუჩენია!..

ზოგიც თავს აყრის
რისხვას და მესხა,
და უწოდებს მას
„ეშმაკის ფეხსა“!..
ის კი, პიტალო
კლდიდან ნასროლი,
გაავთრებულათ
მოძრავი ბროლი—
წისქვილის კოდში,
კოდისგან—ღარში—
მორბის, მოქშუის
ღარს, თუ ავღარში...
და აი, აქ რომ
თავი იჩინა,
რაშიც ძალას
ჰქონია ბინა,
და კაცის ცოდნაც
მას გადაება,
თავაშვებული
ისე „დაება“,
რომ ამოქმედდა,
როგორც ღვთაება,
და შვა კვლავ წინსვლა
და უკვდაება!..
მხოლოთ უკვდავმა,
ეს უკვდაება
რომ შვა, მახეშიც
იმით გაება:
მან დროებასაც
აღარ აცალა,
წინ ისე სწრაფად
გასწია ძალა,
რომ „თვის ცხენებსაც“.
გადააქარბა
და დაეწაფა
წინ, სივრცეს ხარბათ!..
შეჰკონა ცოდნა
და გაქანება,
ინება მათი
ამანქნება
და შედუღება
ნაკადთან ისე,
რომ, მოლიკლიკე
და მოკისკისე,
თავდაკიდული
იმისი ტალღა,

წამოემართა
ქვევიდგან—მაღლა!..
იშვა ეს აზრი,
თუ არა, თავში,
მეისვე შეაბეს
ის უღელ-კავში,
მოჰკიდეს ხელი
უროს, წერაქვსა...
(მაშინ წისქვილმაც
კი შესწყვიტა ფქვა,
თითქოს ინდომა
სუნთქვის მოთმენა,
იმის დანახვა,
იმის მოსმენა,
თუ რას აქნევდა
კაცი ძალს-ძალით
და რას შეჰქმნიდა
იმ ტალღა წყალით,
რომელიც მის თვლებს
ძლივს აბრუნებდა,
ზოგჯერ იშვომც კი
იძაბუნებდა,
რომ უჭირვებდა
შეტრიალებას,
და ღარში ტალღის
დატრიალებას
თავს დაჰყურებდა]
გულზვიადობით,
დამორჩილებულს
ქვა-ძალადობით!..)
თუ მიყვარს ძალა
და მოქმედება,
თუ მიყვარს „რღვევა—
შემოქმედება“,
მძულს უძრაობა,
ქცეული ობათ,
სიჯიუტეთ და
გულზვიადობათ!..
მაგრამ დასჯა კი
ამ განაჩენით,
თავს მეხისცემი
ფაფუკი ენით
მე წისქვილისთვის
არ მეშეტება!
მე მესმის მისი
სულისკვეთება!
მისი ამაყი,
გული, ცხოველი,
ნიდავ „ოქრო
მტვერის“ მთოველი...
მაღლიერია
მისი ყოველი:
კაცია იგი,
თუა ცხოველი,
და იმის წყრომას
აქვს გამართლება!..

მაგრამ... ჩუ! ბრუნვის
ეს განახლება,
ეს ამქუხრება,
ახმაურება,
შორით რომ ისევ
გვმცნაურება,
ვისია იგი,
ან სად აქვს ბინა?

აქ რომ რალაცამ
გამოაბრწყინა
იფთქა ერთმა,
ათმა... ათასმა...
ფოლაქს რომ ხელი
შეახო კაცმა,
დასწვა მინაში
ფოლაღის თასმა,
მხოლოდ ისე, რომ
სულ არ დაიწვა,
არამედ ძალა
სულ სხვა რამ იშვა:
ძალა—მნათობი
და ძალა—ქმნადი,
იმ ნაკადიდან
ამონაკადი,
ამონაქაჩი
მავეთუსინებით,
აელვებული
აქ გაცივებით,
მთელ სოფელს რო რწყავს
სინათლის ფენით,
იმ ერთ ფოლაქზე
ხელის დაბჯენით...
ჰა, კვლავ სხვა ფოლაქს
ხელს ახებს კაცი:
ატოკდა ქმოსი
და აზარამაცი,
და ამუშავდა
აქ ის წისქვილი,
აქ უფრო სწრაფად
„გათოვდა ფქვილი“.
დოლაბი გახდა
აქ უფრო ცეტი,
მოდის საფქვავეც
აქ უფრო მეტი,
მხოლოდ ნაკლებათ
ზედ ქვა ღრილბებს
და, ბორბლის ნაცვლად,
ჩარხით ტრიალებს...

და კვლავ ფოლაქზე
ხელის დადება!..
კვლავ ახალ ძალის
ანაკადება,
წისქვილის გვერდით,
საქსოვი ქარხნის,
მიმორბის მაქი,
ლეღავს და ჰქსელავს,
აქვე ქალღვში
სინათლევ ეღავს...
ნაკადმა აქაც
რომ მოატანა,
ერთ დიდ კანდელს ჰვავს
მთელი ქარხანა
და ერთ ქარხანას—
მთელი სოფელი!..
ერთ რკინის ქსელში
განუყოფელი
ქობი-ქობხეა
გადახლართული
და სერავს ჰაერს
რკინის მავთული,—
შივ რომ ნაკადობს
აქ ის ნაკადი,—

სიზმარია ეს
 ყველა, თუ ცხადი?!.
 ეს ტალღა აქ ვინ
 ამოიტანა?
 ვინ უთხრა ჩაიქერს
 იქ „სულთათანა“?
 სამოლალატოდ
 ვინ დასცა დანა?
 ნაკადის დენა
 ვინ შეაბრუნა?
 ბუნება ასე
 ვინ შეაძრწუნა?
 ვინ დაიწუნა
 იმისი ღონე,

იმზომ ზვიადი
 და თავმოშორნე?
 ვინ არის იგი?
 ვინ? ვინ? ვინა?.. სთქვით!..
 და... ჩუ! გამოჩნდნენ:
 ლომით, წერაქვით,
 ბარით ნიჩბებით,
 მუშებით, ხელში
 და შემოვიდნენ
 მღერით სოფელში,
 სწორედ იმ არით
 და იმა მხრიდგან,
 სადაც ნაკადი
 მოჰქუხდა მთიდგან!..

ზოგმა გაზეთს მოჰკიდა ხელი.
 ზოგთ კიდევ მუსაიფი გააბეს.
 * * *
 დრო მიდიოდა.
 საღამოს ბინდ-ბუნდი ქურდულად იპარებო-
 და ჩვენს ოთახში.
 მოლღილ-მოქანცულს ოდნავ წამთვლემოდა.
 ეზოში ზარმა კვლავ დაიწკრიალა.
 — ჩაი, ჩაი! — ახმაურდა მთელი საავადმყო-
 ვო.
 თვალები ჩქვიტე.
 უკვე დაღამებულყო.
 ოთახში ელექტრონი ჩახჩახებდა.
 ჩაის შეგეტყუთი.
 ცოტა ხნის შემდეგ მორიგმა ექიმმა დაგვა-
 თვალიერა.



ნ. ზომლეთელი

საავადმყოფოში

სისხლისაგან დაკლილი და ღონე-მიხილი
 მივლასლასდი კამოს სახელობის საავადმყო-
 ფოში.

კამოს სურათის დანახვამ და მისი რევო-
 ლუციონური წარსულის გახსენებამ, მეც გა-
 მამხნევა.

მივიღეს,
 ჩამწერეს.

გამომიცვალეს ტანისამოსი, ამწონეს სას-
 წორზე და...

— წამომყევით, ყმაწვილო! — მითხრა მიმღე-
 ბმა ექიმის თანაშემწემ და გამიძღვა წან.

შევედით ქირურგიულ განყოფილებაში.

— აი თქვენი საწოლი. შეგიძლიანთ მოის-
 ვენოთ! — მიითითა ექიმის თანაშემწემ.

— გამადლობთ.

წამოვწვიქი.

როგორც ახლად მისულს, ავადმყოფებმა
 ცნობის მოყვარეობით დამიწყეს თვალყურება.
 მათ შორის არც ერთი ჩემი ნაცნობი არ
 აღმოჩნდა.

— სადაური ხარ ძმობილო? — შემეკითხა ერ-
 თი ჯგუფი ავადმყოფთაგანი!

— კახელი.

— კახელი? — გაოცებით გამიერა მან.

— დიად, კახელი.

— რომელი სოფელი?

— ვარდისუბნელი.

— ვარდისუბნელი?

— დიად, დიად, ვარდისუბნელი.

— ბიჭოს! ჩვენებური ჰყოფილხარ! რა გვა-
 რი ხარ? მამაშენს რა ჰქვიან? — აღარ მეშვე-
 ბოდა კახელი.

მეც ყოველ კითხვაზე მოკლედ უპასუხე და
 ბოლოს რომ შემატყო უხასიათობა, თავი გა-
 მანება.

იქაურობა ყურადღებით მჩვავთვალ-მოვავთვა-
 ლიერე.

ერთს კედელზე შემდეგი ეწერა: ავადმყო-
 ფობა აღამიანის სხეულში ფუთობით შედის,
 ხოლო გამოსვლით კი მისხლობით გამოდის.

სრული ჰემშარტიტება.

ეს რაღა წარწერაა?

„ლოთი აღამიანის სიცოცხლე დღემოკლე“.

გავოცდი, ვინაიდან ეს წარწერა სწორედ
 ჩემი საწოლის თავთან იყო კედელზე მიკრუ-
 ლი.

არა, ამათ საიდანა გაიგეს რომ მე ღვინის
 მსმელი ვარ?

აქ რაღა ეშმაკობას უნდა ჰქონდეს ადგილი.
 ეს წარწერა განგებ უნდა იყოს ჩემს საწოლ-
 თან მიკრული.

— ამხანაგო! ეს წარწერა წინადაც იყო აქ,
 ჩემ საწოლთან გაკრული თუ ეხლა მიაკრეს? —
 შევეკითხე ერთ-ერთ ავადმყოფთაგანს.

— არა, კარგა ხანია რაც ეგ მანდ მიკრულია.
 ამ პასუხმა საესებით გამიფანტა ექვები.

დავმშვიდდი.

ფიქრებს გავჰყვიე.

საავადმყოფოს ეზოში ზარი დარეკეს.

— ეს რის ნიშანია? — ვიკითხე მე.

— სადილობის დროა, ამხანაგო! — მომიგო
 ერთმა.

— ჰოო!

— დღეს თქვენ სადილს არ მოგცემენ.

— რაღა?

— გვიან მოხვედით. დღეს გამოსწერენ და
 ხვალ მიიღებთ.

— არა მიჭირს-რა, მოვითმენ.

— ნუ გეშინიან, ამხანაგო, არ მოგამშვეთ.

დღეს ჩვენი სტუმარი ხართ.

— გამადლობთ, ამხანაგებო!

სადილი დარიგდა.

ცოტაცოტა ყველამ მიწილადა.

უარსა ვჰყოფდი, მაგრამ არ მეშვებოდნენ.

სადილი მოთავდა.

მომვლელებმა აწეწილ-დაწეწილი ოთახი წე-
 სიერებაში მოიყვანეს.

სიწყყარე ჩამოვარდა.

ვიღამაც ჯიბიდან სათამაშო ქალაღლი ამო-
 აცოცა.

გაჩაღდა თამაში.

მეც ჩამითრეის.

ესეც მოგებურდა.

თავი გავანებეთ.

ყველანი თავის საწოლისკენ წავიდ-წამოფი-
 ლდნენ.

ზოგმა ძილს მისცა .ააგი.

— თქვენ ახალი ხართ? — მკითხა მე.

— დიად.

— დღეს მოხვედით?

— დიად.

— ხვალ დილით გავშინჯავთ.

— კეთილი.

ექიმი წავიდა.

მძიმე ავადმყოფები მოსვენებას მიეცნენ.

სძინავთ.

უმეტესობა ფხიზლობს, ოხუნჯობს.

მეც მინდა დაძინება, მაგრამ ვინ დაგაძინებს?

— ამხანაგებო! ზღაპარი ვინ იცის? — სთქვა

ერთმა.

— ყველამ, ყველამ! — წამოიძახეს ერთხმად.

— რადგანაც ეგრეთა, მოლით მორიგეობითა

ესთქვათ.

— კარგი, ეგრე იყოს.

— ამაღამ რომელი იტყვის?

— ახალი, ახალი! მაგას კარგი ზღაპრები

ეცოდინება! — აღაპარაკდნენ ჩემზე.

— ამხანაგებო! ბოდიშს ვიხდი, ძალიან სუს-
 ტათა გვრძობთ თავსა და ამაღამ ვერ ვიტყვი.

— ხვალ, ზეგ?

— საამოვნებით.

— მე ვიტყვი, მე! — თავმოშორნენ წამოიძახა

კახელმა.

— ეგრე რაღა შე კაი კაცო, სახვეწნად რა-
 ლას გვიხდი საქმეს?

— სულუ!

— სმენა იყოს და გავგონება!

მეზღაპრემ ჩაახველა.

ხმა ამოიწინდა.

— ყოველ აღამიანს, ყოველ ქმნილებას გა-
 ჩენის დლიდანვე კვალ-და-კვალ დასდევს ყო-
 ველგვარი მარცხი, ყოველგვარი უბედურობა —
 დაიწყო კახელმა.

— რას ამბობ, რასა!

— ეგ არ გვიანდა, არა!

— ზღაპარი გვეთხარი, ზღაპარი!

მიაყარეს აქეთ იქიდან მსმენელებმა.

— დამაცადეთ, ბაზო, სულთამაშუთავებო

ხომ არა ხართ, აღარ მათქმევენით?

— არ გვიანდა, არა! ეგ რა ზღაპარია?!

— ზღაპარია თუ ხალხური თქმულებებია, გა-
 ნა სულ ერთია და იგივე არ არის?

— სულ ერთია, სულ ერთი.

— ჰოო — და, რაღას მაწყევტებთ?

— განავრძე, განავრძე.

— ჰო, იმას მოვახსენებდით: ადამიანს აკენი-დანვე თან დასდევს ყოველგვარი ტანჯვა და უბედურება. ქვეყნად ხალხის წარმოშობასთან ერთად გაჩნდა აგრეთვე ცრემლი და მწუხარება.

ხალხის ცრემლისა და მწუხარების შესამსუბუქებლად შემოქმედმა დედამიწაზე გამოგზავნა ვინმე მშვენიერი ახალგაზრდა ქალი, რომლის სწორი და ბადალი არსად მოიპოვებოდა. ასული იგი ქალთა შორის ყველაზე ულამაზესი და უფულკეთილესი იყო.

ტანი მისი ალვის ხეს ჩამოჰგავდა, მკერდი—თოვლის ბორცვეს, ხელ-შეუხებელს ძვლებს, თვალნი—გეორის ტბას, წამწამნი—ისრებს, წარბნი—შვილდებს, თმები—შავ ლამეს, ღაწენი—ბროწეულს, წითლადმოწეულს, ბაგენი—ლაქადეს, ყელი—შვლის კისერს, მკლავნი და თითნი—თლილ მარმარილოს, ხოლო მთლიანად—კობტა ჯგირანს, ბუნებით შემკულს.

ასული იგი, მშვენიერი, სათნო, კეთილი, ნუგეშის სხივად ევლინებოდა ყველა უბედურს. მის ღრმა თვალებში ტანჯულთადმი, გულწრფელი თანაგრძნობა და მხურვალე სიყვარული იხატებოდა.

მან დიდხანს იმოგზაურა ცოდვითა და საშინელებებით გარემოცულ დედამიწის ზურგზე.

მან ბევრჯერ შეუმსუბუქა ტანჯულ მშრომელ ხალხს უკუღმართ ცხოვრების სიმძიმე.

მან შესძლო გაუბედურებულ დედათა და გაგულმვდარებულ მამათა ნუგეშის ცემი, რომლებსაც სიბერის ჟამს დაჰხოცოდათ მზრუნველი და ვაჭიშვილები და რომელთა გამკითხველი და ლუქმა ჰურის მიმწოდებელიც აღარავინ იყო.

მან შესძლო გლოვის ძაძებში მარგალიტის ცრემლებით ატირებულ ახალგაზრდა ქვრივთა დაყვავება და ცხარე ცრემლთა შეშრობა, რომელთაც ადრე დაჰკარგეს საყვარელი არსება და თვალსაჩინი.

მანვე მიანიჭა მშვილობა და სასიცოცხლო ხალხის სასოწარკვეთილებებში მყოფ კაბუტთ, რომელთათვისაც უღმობელ სიკვდილს წარეტაცნა თანამავალნი მეთლენი ცხოვრების გაზახე.

მან მხოლოდ ათასწირ სენით დავრდომილ — დაავადებულთა განკურნება ვერ შესძლო. ცასავით კრიალა თვალები სიბრალულის ცრემლით ავესო.

სათუთი და გრძნობიერი გული ბოლმით შეეკუშა.

იგი დაიქანცა ავადმყოფთა შორის ხეტიალით, ხოლო მორჩენით კი, ვერც ერთს ვერ არჩენდა.

ღრმა საგონებელში ჩავარდა ასული. ფიქრობდა, როგორ და რა საშუალებით ეშველნა დაავადმყოფებულ უმწყრო ხალხისათვის.

ერთ მშვენიერ დღით, როდესაც მზე ის—ის იყო ვარდისფერ სიცილ-ქათქათით ამოდდიოდა, ასული იგი მოწყენილი გავიდა მინდვრად.

ამ კობტა მინდორს ტყე სარტყლად ერტყა, ცა ქოდათ ეხურა, ხოლო მთები კი გაეხადნა ბინად, კარავად.

ირგელოვ წყაროთა საამური ჩუჩხუნი, ფრინველების ხმა-ტკიბილი ჭიკჭიკი და ფოთლების ნაზი შრიალი ისმოდა.

იყო სიტურფე და ნეტარება.

ადამიანთა კენესა—ვაებით და თავისი უძღურებით შელონებული ასული კი, ბრინჯაოს ქანდაკებასავით იდგა ერთს ადგილას და ფიქრს მისცემოდა.

ბოლოს რალაცა მოისაზრა.

მუხლებზე დაეცა.

თავი მადლა ასწია.

ხელები ზეცისაკენ აღაპყრო და ღმობიერის ხმით აღავლინა ვედრება თვისი:

— ცაო! გამჩენო! ბუნების ძალნო! ისმინეთ ჩემი ცრემლიანი ვედრება თქვენდა: მიჰხედეთ საწყალთ, ათას სენით დაუძღურებულთ!

— შეგიძლიან თუ არა ხალხს შესწირო სიცოცხლე შენი?—ცით ჩამოესმა ხმა იღუმალი მწუხარე ასულის.

— თუ, სისხარულით, ოღონდ ეშველოს უბედურ ხალხსა, ოღონდ კი შესწყდეს მათი კენესა, მათი ვაება და განიკურნენ ყოველგვარი სნეულობისგან!

— ამინ! აღსრულდეს სურვილი შენი!

და სადაც დაჩოქილი იყო ასული, ნიადავი უცებ შეიკრია, რამდენიმე ადგილას გასქდა დედამიწის პირი და სქელი, ნაცრისფერი თბილი ტალახი ამოხეთქა.

ეს რომ დინახა ასულმა, ზეზე წამოეარდა, ხელი-ხელს შემოჰკრა და აღტაცებით შეჰკვივლა:

— „ახ... ტალა... ხი“.

და მის ფეხთ-ქვეშ გადაშლილმა უბსკრულმი შთანთქა იგი.

იმ ადგილს, სადაც ეს ნაცარტუტიანი ტალახი დღესაც ამოჰჭუსს, ეწოდება ახტალა.

ეს ახტალა დღეს უკვე ერთ-ერთ შესანიშნავ სამკურნალო კულორტად ითვლება საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში.

იგი საუცხოვოდ არჩენს: კანის სხვადასხვა სნეულობას, ქარებს, თიადორას, ჯირკვლების, ძვლების სიმსივნესა და ტუხვას, ქალურ ზოგიერთ ავადმყოფობას და ვან მოსთვლის კიდევ რას.

— კაცო! მართალს ამბობ თუ ტყუილს?—ველარ სოთიმინა დიდი ხნის სიჩუმე ერთმა მსმენელმა და შეკითხვა მისცა.

— შე კაი კაცო, შენა, მართალში რას იძლევია, რომ ტყუილში მომცე რამე?

— აქი ვსთქვი ეს ზდაპარი არ არის მეთქი? შეპნიშნა ვილაცამაც.

— ზდაპარია თუ არაკი, კარგი რამ კი იყო—და!—მიუგო მეორემ.

— განავარძე, განავარძე! — მიუბრუნდნენ სხვები.

— რალა განავარძო, რაც ვიცოდი ვთქვი, მორჩა და გათავდა.

— ერთჰააა, სულ ეგ იყო შენი ზდაპარი?—გასაგულსებლად აეკვიბათ ერთი მსმენელთაგანი.

— შენმა მზემ შენს დამაყებულ ძვილ ზღაპრებს აღარა სჯობია, აი: „იყო და არა იყო —რა, იყო ერთი ხელმწიფეო. ამ ხელმწიფეს ჰყავდა ნაზირ-ვეზირიო“. რით ვერ გაიგე შე

ყურყეჩო, რომ აღარც ხელმწიფეები არიან და აღარც მისი ნაზარვეზირები?

— ეჰ, გაანებე თავი მაგ გულდაფშუტას, მაგასა, შენ ერთი ეს გვითხარი, საით მხარესას ეგ ახტალა? — ჰკითხეს დანეტარებულმა მსმენელებმა.

— ახტალა?—გაიმეორა კახელმა—ახტალა ჩვენშია, კახეთში, ს. გურჯაანის მახლობლად. მასში საბანაოდ ყოველ კუთხიდან მრავლად აწყდება დაავადმყოფებული ხალხი და რამდენიმეჯერ ბანაობის შემდეგ, საგსებით განკურნებული ბრუნდება შინ.

— მეერო—და, როგორ ბანაობენ, არ იძირებინა? არ იღრჩევიან?

— ჰმ! სრულებითაც არა. შვიგ ისე ტივტივებენ, როგორც თათარაში ახლად ამოვლებული ჩურჩხვლები.

— ღრმა არის?

— ამბობენ, უძიროაო.

— უძირო?—გაიმეორეს შიშისაგან თვალბდაჰქეტილმა მსმენელებმა.

— ჰო-დღე, უძიროაო, ამბობენ.

— თუ უძიროა, ხომ ჩაიღრჩო ადამიანი?

— არც ჩაიღრჩევა, არც ჩაიძირება, რადგანაც იგი ძირიდან მაღლა ისე ამოჰჭუსს, გეგონებთა მორევი დულსო.

— კმარა მოისვენეთ!—თითქოს კახელის ამბის დაბოლავებას უკვდილაო, მოულოდნელად შემოგვახბა მოწყალების დამ და ელექტრონს ჩაქრობა დაუპირა.

— მოითმინეთ, მოითმინეთ!—აყვირდენ ყველანი და ზეზე წამოიშალენ ტანზე გასახდელად.

— დაწყებით.

კედლის საათმა ათჯერ დარეკა.

სინათლე ჩაჰქრა.

ძილს შეგუდექით.

ჯერ ისევ ბნელა ჩვენს ოთახში.

ყველასა სძინავს.

სოული სიჩუმეა გამეფებული.

დროვამოშვებით მხოლოდ მძიმე ავადმყოფთათა ღრმა ოხვრა მოისმის.

ფანჯრიდან კრიატი, ფითრის ფერი ოღნა-ვი შექი ელამუნება საავადმყოფოს კედლებს.

გარეთ დღისი და ღამის ბრძოლა—შეტაკება გაჩაღებული.

სასტიკი არის მათი კვეთება.

შეკრთა სიბნელე ღღის იერიშზე.

ერთი შეტევაზე და დამარცხებული, ფითრის ფერი ღამის ლამპარი სტოვებს ბრძოლის ველს.

უგზო-უგვლოდ გაფანტული წყევლიადის დაშლილი რაზმები მთებისაკენ მიეშურებიან უბსკრულლებში დასაბანაკებლად.

ცა იწმინდება.

თენდება დინჯად.

მამლეგი ყვივან.

კედლის საათმა ექვსჯერ დარეკა.

დაიგუგუნა საყვირმა მედგრად.

ეს რკინისგზის მთავარი სახელონრა.

ბავშობიდანვე მიყვარს მისი ხმა.

მას ბანი მისცა მოძმე ქარხნებმა.

გუგუნნი მათი აღვიძებს ქალაქს.

ეს სინდერაა გარიერაჟისა:

სიმფონია ბრწყინვალე შრომის.

მის დაძახებულ აივლებზე მშრომელი ხალხი და შეეზღვასავით მოედება ცარიელ ქუჩებს. ქარხნის საყვირი ჰიზნია დილის, ჰიზნია ბორკილ-აყრილი შრომის; ის სიმღერაა ჩვენი წადილის და მონა-ხალხთა ზარი აღდგომის. როცა მეორედ იკვილებს იგი, ავანზაურებთ მძინარე ქუჩებს; მის დაძახებულ რიგს მისდევს რიგი და სარდალივით ერთად გვაქუჩებს. დაიკვებულებს მესამედ კიდევ და გაჩაღდება ქარხნებში შრომა; დაეკარგება ქალაქს სიმშვიდე და მუქთა-ხორებს ტკბილი განცხრომა.

მზე აღმობრწყინდა, ამოკაშკაშდა. თეთრი ღრუბლები შეაწითლა, შეავარაყა. საავადმყოფო ახმაურდა, ალაპარაკდა. ზოგი თავს იფშვინებდა. ზოგიც ამთქნარებს. პოლონელი მოხუცი უჩინსკიც წამოსკუბდა ციყვისავით, მიწვრალეულ თვლებით აქეთ-იქით მიიხედ მოიხედა, ხომ არავინ მიყურებსო და პერანგის შიგნით გულზე დაკიდებულ ეან-გიან პაწია ჯვარს პირჯვრის გამოსახვით ემ-თხვია ქურდულად. მოწყალების და ტერმომეტრებით სასეც კი-ქით ხელში შემოვიდა. მოგვესალმა. სიციხე ვაგვიზომა. ვისაც სიარული შეეძლო, ყველა ფეხზე წა-მოდგა და პირის საბანად გასწია საპირფარე-შოსაკენ.

ცხრა საათი იყო. ზარი დარეკეს. დიასახლისმა შეაჩარი და პური ჩამოგვირიგა. დავლიეთ ჩაი. დილა მშვიდობისა! — კარის შემოღებისთანა-ვე საერთოდ მოგვესალმა თეთრ სამოსში სტუ-თად გამოწყობილი სათვალეზიანი გამხდარი დღესტაქარი-ეჭიმი, რომლის წვერ-ულულაშ მო-პარსულ სანდომთან სახესაც ავადმყოფთადმი თანავერძობისა და მზარუნელობის დიმილი დასთამაშობდა.

ჩვენც უპასუხეთ: თავი დაუკარით. ძველებს დაჰკითხა: როგორა ხართო. ახლები დავესინჯა. გამოიძია მიზეზები სატკიერისა. მეორე ეჭიმიც შემოვიდა: წითური, მსუქანი, მომცინარი, წარმოსადეგი. მანაც ვაგვისინჯა. შემდეგ იმსჯელეს, ითათბირეს ჩუმად, ხმა-დაბლა.

ოპერაციები დავგინიზნეს. დიეტაზე დავტკიცეს. წავიდნენ. მუსაიფი ვაიმართა. ზოგი თავის თავ-გადასავალს მოჰყვა. ზოგი ნახულ-გავიწილს. ზოგი ამ მთისა, ზოგიც იმ ბარის. — ამხანაგებო! რა გვარები არიან ჩვენი ექიმები? — ვიკითხე მე.

— ჩვენი ყასბები? — იხუმრა ერთმა ივად-მყოფმა.

— როგორ თუ ყასბები?

— ყასბები არიან, მაშ რანი არიან. ისე არ-ხეინად, ისე თავისუფლად სკრიან ცოცხალ ადამიანის სხეულს, გვეგონება დაკლული საქო-ნელიაო;

— მაშ არა და შენისთანა მშობრები გამო-დგებიან დოსტაქობაში, აი. ნემსს რომ გჩხვლტენ, იმაზედაც კი თვალგმა ჰხუქავ და ციებ-ცხელებიანივითა ცახცახებ! — დასცინა მე-ორემ.

— მე მინც პასუხი ვერ მივიღე ჩემს შეკი-თხვანზე! — მივებრუნდი ისევე ჩემს მოსაუბრეს.

— ჰო, თქვენ ჩვენი გქიმების გვარი იკითხეთ, არა?

— დიად.

— მოგახსენებთ: პირველად რომ შემოვიდა გამხდარ გამხდარი ეჭიმი, ის ასრევიდა. უმეტეს შემთხვევებში იგი უკეთებს ავადმყოფებს ოპე-რაციებს. შემდეგ რომ სქელმა ადამიანმა გვი-ნახულა, ის კიდევ უფროსი დოსტაქარია, გვა-რად ტერ ნერსესოვი. იგი მხოლოდ რთულ და საშიშს ოპერაციებს აწარმოებს, დასწრებით კი, ყოველ ოპერაციების ჩატარებას ესწრება და საერთო ხელმძღვანელობას უწევს.

— გამარჯობა თქვენ! — მოგვამხა ახლად შემოსწრებულმა ვილაც უცნობმა ავადმყოფმა და ყველას ყურადღება იქითვე გადახარა.

— შენი სახელი? — ცოტა ხნის შემდეგ ჰკით-ხეს ამხანაგებმა.

— ხერო! — მიუჯო ახლად მოსულმა.

— სადა მუშაობ?

— სასაკლავოში.

— ჰოო, არა გიშვს რა, საშენო ადგილი-სათვის მოგიგნია, არ მოგწყინდება, აქაც ისე-თივე სასაკლავო.

— ახალი ვაზეთები! ცხელ-ცხელი ვაზეთები! — მიხარულად გვაუწყა თავისი მოსვლა საავად-მყოფოს სამკითხველოს გამგემ.

ყველანი ზედ მისცივიდნენ. თვალის დახამამებამაში ვაზეთები ხელიდან გამოსტაცეს.

გაჩაღდა ჯგუფუ ჯგუფად კითხვა.

— ამიანაგებო! ამა ყური უჯდეთ! — სთქვა ერთმა ავადმყოფთაგანმა, რომელსაც ხელში ვაზეთი ეჭირა და ხმა-მალლა დაიწყო კითხვა: ამ დღეებში ამერიკამ თავის სამხედრო ქარ-ხნებში დაამხადა ორმოცდა-ათზე მეტი ახლად გამოგონილი საპაერო ტანკა. თვითეული ტანკა შეიარაღებულია 12 სწრაფ-მსროლელ და 6 მძიმე ზარბაზნით. რამდენიმე ასეთს ტანკას ერთის თავდასხმით შეუძლიან გაანადგუროს ისეთი დიდი ქალაქი, როგორიცაა მაგალითად: ლონდონი, პარიზი, ბერლინი და ნიუ იორკი.

— ეჭე-ჭე-ჭე! — გაიკვირა ყველამ.

— ისე წინ მიდის, ისეთი სისწრაფით ვი-თარდება სამხედრო ტენიკა, რომ ბოლოს და ბოლოს თავისთავად შეუძლებელი გახდება ხალხთა შორის ომი, ვინაიდან იგი დაჰკარგავს ყოველრე აზრსა და მნიშვნელობას! — იწინას-წარმეტყველა მესამემ.

არა, ძმობილო, ვიდრე კაპიტალისტური ჰეგემები არსებობენ, ომიც იქნება და ქლუ ტაც! — გაუბათილა მეორემ.

მართალია, მართალია! — დაუდესტურეს სხვებ-მაც მხოლოდ და მხოლოდ მუშათა კლასის, მხოლოდ სავითაშორისო პროლეტარიატის დიქტატურას შეუძლიან ბურჟუაზიულ მსოფ-ლიოს განიარაღება.

— აი, ეს სულ სხვაა, ეს კი სწორედ რომ საქები და მოსაწონია! — ჩაერა მეორე ვაზე-თის წამკითხველი.

— რა იყო, რა, მანდ რაღა სწერია?

— რა და, ინგლისში შემოულიათ რეზინის გზა. ჯერჯერობით რეზინი დაუგიათ ლონდო-ნის მხოლოდ იმ ქუჩებში, სადაც საავადმყო-ფოები ყოფილა მოთავსებული, რათა ავადმყო-ფები ალაბა სწუხებდებოდნენ მოძრაობის ხმაუ-რობით. ეს რეზინი თურმე აგურის სისქისა და ყალიბისაა. ასეთ რეზინით დავებული გზა, სხვა კარგ თვისებებთან ერთად, ვაცილებით იაფიცა ჯდება და დიდხანსაც სძლებს.

— ეეჰ, ვიცოცხლოთ და მაგაზე მეტ საკვირ-ველებებსაც ენახეთ.

ამ საუბარში დრო ისე მალე გასულიყო, ისე ვავითობილყავით, რომ ზარის ხმაც კი გამოგვარვოდა, ისე შეუქმნეულად შემოეტანათ სადილი და დარიგებამაც შესდგომოდნენ.

დღეს ორი მორჩენილი ამხანაგი გავწერა.

— ბენდიერები ხართ, ჩენდიერები! — შეჰ-ნატრეს მათ საავადმყოფოში დარჩენილმა ამხანაგებმა.

წასულს ადგილას ორი ახალი ავადმყოფი მიიღეს.

გამახსენდა სამაქიტნოები.

იქაც ასეა: შედიან და გამოდიან რიგ-რი-გობით არყის ახალ-ახალი მსელები.

— კმარა, გეყოფათ სიარული, არ დაილა-ღენით? რა გეცხებივით მიდი-მოდხართ ამ ოთახში! — მიჰმართა პალატაში მოსიერე ავად-მყოფებს ერთმა ამხანაგმა, რომელიც ქალაქის ცეცხლის მქრობელ რაზმში მსახურებდა.

— მაშ, რა ვაკეთოთ, რით გავერთოთ?

— მოდი ზღაპარი ვთქვათ! — ურჩიათ ერთმა.

— რას ამბობ, რა დროს ზღაპარია ამ ნა-თელ დღისით? — იფარა მეორემ.

— გინდათ ნამდვილი ამბავი ვიამბოთ? — სთქვა ისევ ცეცხლის მქრობელმა.

— გვიამბე, გვიამბე, ამხანაგო! — სთხოვეს ერთმანდალ.

— ცეცხლის მქრობელთა ცხოვრებაში ბევრ უბედურ შემთხვევებსა აქვს ადგლი, ერთ ასეთ არა სასიამოვნო შემთხვევის მოწმენი ვაგვადით ამას წინადადიწყო სხენებულმა რაზმელმა.

— სსს, სიჩუმე, ამხანაგებო! — მიჰმართეს ზო-გიერთ ხელის შემშლელებს.

— ეს ამბავი მოხდა ქალაქ თბილისში.

სამუშაო დღე იყო ქუჩებში მოთარეშე შემოდგომის ქარი დაჰ-რილ აფთარივითა ზმუიდა.

დაძველებულ სახლების სახურავებს ჰვლეჯ-და და ველური ზუზუნ რახარბით მიაფრია-ლებდა ჰაერში.

აი ამ გ. ვარეულ ამინდში გაჩნდა ცეცხლი ქალაქის განაპირა უბნის ერთ-ერთ ორ სარ-თილიან შენობაში, რომლის ჩასაქობლადაც სწრაფად დაიძრა ჩვენი გამზადებული მფრი-ნავი რაზმი.

ხსენებულ სახლში სხვათაშორის, სცხოვრობდა თურმე ერთი ახალგაზრდა ქვრივი ქალი, რომელიც დიდ სიღარიბისა და ხელობის უცოდინარობის გამო შეძლებულთა ოჯახებში დღიურ მრეცხაობას ეწეოდა.

თუმცა მას სარეცხი ზოგჯერ თავის სახლში მოჰქონდა, მაგრამ ზოგჯერ სხვაგანაც უხდებოდა რეცხვა, ვინაიდან შინ გამოტანებას არ ენდობოდნენ.

და აი სწორედ ამ საბედისწერო დღეს წასულიყო იგი სხვაგან სამუშაოდ.

მას თავისი ერთადერთი პაწია ბავშვი გაუტანელ მეზობლების წყალობით, აკვანში ჩაწოლილი დაკეტილ ოთახში დაეტოვებინა.

ამ სახლს ცეცხლი სახურავიდან გასჩენოდა. მანძილის სიშორისა და ქარის მძვინვარების გამო, მანამ ჩვენ მივიდოდით, მთელი შენობა უკვე ცეცხლის ალში გახვეწილიყო.

ჩემი მისვლა და ვილაც თმა-გაწეწილი ქალის გოჯოხებითური წივილ-კვილით იქ მოვარდა ერთი იყო.

ეს ქალი იყო იმ ძუძუ-მწოვარა ბავშვის დედა, რომელიც გამოკეტულ ოთახში იბუგებოდა. არ ვიცი ეს საზარელი ამბავი ვის ეცნობებინა მისთვის.

თავ-განწირული დედა ანგარიშ მიუცემლად შევარდა აღ-მოღებულ ოთახში, დასტაცა ხელი საყვარელ შვილის აკვანს, რომელსაც ცეცხლი უკვე მოჰკიდებოდა, ელვის სისწრაფით გამოიტაცა გარედ და შეშლილივით გაქანდა კუჩაზე.

ხალხი დაედგინა, მაგრამ ამაოდ: ელდისგან გონება—დაკარგული დედა ისეთი სიძალით მიჰქროდა, გვერდებოდა ზღაპრული ქაჯიაო.

მირბოდა საცოდავი დედა გაშვებულ ქარში და იწვოდა ანთებული ჩირაღდანებით.

— ვერაინ უშველა? ვერ ჩააქრეს?—გულ-მტკივნეულად იკითხეს ამბის საშიშროებით თვალებ-დაფართოებულმა მსმენელებმა.

— ვერა. სიერთოდ, ადამიანს თუ ცეცხლი მოელო, ჩაქრობა ძნელია. იგი ნავთივითაა: წყალი თუ მიასხით, უარესია, უფრო მეტად წაეკიდება ცეცხლი. ასე დაეცა და დაიფერფლა ქარიან ქუჩებში შმაგად გაქრალი დედა, თავის შვილთან ერთად!—გულის ოხვიით დაათავა მოამბემ და შეძდეგი დასძინა: ხელის გულზე რომ ერბო-კვერცხი მოიწვათ, დედის ამაც მანც ვერ გადაიხდითო, ამბობს ქართული ანდაზა.

ეკ, ჰამსუნ, ჰამსუნ, განეიცადე შენი სიმშლი.

ეკქსი დღეა, რაც არა მიჰამიარა.

ეკქსი დღეა, რაც ცარიელ წვესს მახვლე-პინებენ.

საოპერაციოდ განმწმინდეს.

სადაცაა წამიყვანენ სასაკლაოში, ასე უწოდებენ ავადმყოფები საოპერაციო ოთახს.

საკაცე შემოიტანეს. შიშმა შემაქროლა.

— აბა, ყმაწვილო, მოეზადეთ, ყველაფერი გახიადეთ!—მითხრა ერთმა ექიმის თანაშემწემ. გავშიშვლდი.

— დაწვიეთ!—მიმითითა მანვე შემოტანილ საკაცეზე.

დავწვიე. ზეწარი გადამაფარეს. აშწიეს. წამილეს.

— ნუ გეშინიან, გული მაგრათა გქონდეს, არაფერია, ტკივილს ვერ იგრძნობ!—მამხნევებდნენ და გზას მილოცავდნენ ოპერაცია გამოვლილი ამბანავებით.

ცალკე შიშისა და ცალკე კიდევ სიცოცხისაგან მე მაინც მთელი ტანითა ვაძაგავებდი.

შემიყვანეს საოპერაციო ოთახში. თეთრ ხალათებში გამოწყობილი დოსტა-ქარ-ეკიმები უასპებივით დამკლავებულნი და დონიჯ-შემოყრილნი მიციდიდნენ.

გამაწვიენს მალაღ მაგიდაზე. თვალეფი ამიხვიეს.

— დამაძინებთ თუ არა?—შევეკითხე მათ.

— არა!—მიპასუხეს მოკლედ.

— რატომ?

— გული სუსტი გაქვთ, საფრთხილია. ხელები და ფეხები მაგრად დამიჭირეს.

ვერაფერსა ვებდაე.

ლაპარაკში მართობენ.

დანებსა ჰღესავენ.

დაიწყეს.

— ოხ! ოხ! ავეცივლი.

ხორცს სჭრიან.

სისხლი თქრიადებს.

დაქიმული მაქვს მთელი ძარღვები.

კბილებს ვაკრაჭუნებ.

სიმწრის ხეითქი მდის.

— ააჰ!—რაც ძალი და ღონე მქონდა შევ-ლრიალე და...

— აჰა. გათავდა!—მითხრა ექიმმა.

მომატყულია.

მჩხვლეტენ, მკერავენ.

ვლრიალებ ისეე.

— ეხლა კი მორჩა!—ვაიმეორე მან.

ხელეფი ამიშვეს.

თვალ-სახვევი მომხსნეს.

გული მოვიბრუნე.

ქირის ოფლი შოვეწმინდე.

საკაცეზე გადამაწვიენს.

გამიყვანეს.

ჩვენს ოთახში დამაბრუნეს.

ჩემს საწოლზე დამასვენეს.

თბილად დამბურეს.

არამც და არამც არ გაინძრეთ, ან არ გა-დბრუნდეთ, თორემ კრილობა გაგხსნებათ!—

გამაფრთხილეს და წავიდნენ.

ტკივილები მაწუხებდა.

ვკვნისოდ.

— ეხლა ნულარაფერი გეფიქრება. დამშვიდ-დი. ხეალ დილაძდე ყველაფერი გაივლის!—

მანუგეებდნენ ამბანავები. * * *

მე შევიშმუშენე. თვალეფი გავახილე. გათენებულყო. თავთან მოწყალების და დამდგომოდა და ტერმომეტრს მაწვილია.

ბურანში ვიყავი. გამოვერკვიე.

კრილობა დამშუშებოდა, ტკივილებიც მიმუჭებოდა.

ქამის მალაზე ვარ.

არ მაქმევენ: ხუთიოდე დღე კიდევ უნდა მოითმინოვო.

რძესა და წვესს მასმევენ.

ლაპარაკს ხასიათზე ვარ.

მიკრძალავენ: ვაწყენსო.

ექიმები შემოდიან.

გვათვალიერებენ.

— როგორა ხარ? თავს როგორა გრძნობ?

— მეკითხება ერთი მათგანი.

— სუსტად, ექიმო.

— ეგ არაფერია. ლიუსი—მიუბრუნდა იგი იქვე მდგომ თავის თანაშემწე ქალს—სისუსტის საწინააღმდეგო წვეთებს მიიღებინებ ამ ავადმყოფს!

— მესძის, ექიმო!

— ტკივილები ხომ აღარ გაწუხებთ?—მეკი-თხება ექიმო.

— ოღონე, დროგამოშვებით.

— ეგეც ვაგივლის. ოჰო—ჰო—ჰო, რა ხმა

რა ხმა მაღლა ყვიროდით, ძალიან სუსტი გუ-ლისა ჰყოფილხართ. მოთმინება სრულებით არ შეგძლებიათ. ზოგიერთები ისე უძლებენ ოპე-რაციას, რომ ერთხელაც არ დაიკვებენ.

— მაგრა ექიმო: ყველა ადამიანი ხომ ერთ ქარხანაში არ არის გაკეთებული. ზოგი მალა-ლია, ზოგიც გამძლე, ძაგარო.

დღეს ერთი თვე შემძირულდა რაც აქა ვარ. კრილობა საფსებით შორევილი მაქვს. სი-არულიც შემძლიან.

— ჩვენ ჩვენი გავაკეთეთ—მეუბნება ექიმო—

ეხლა კვევით გაგაყვავებთ.

— საღ გვევით?—ვეკითხები მე.

— ტეოპეტვიულ განკოჟილებაში.

— ოათა?

— ფილტვები გაქვთ დაზიანებული. იქაც ერთ-ორიოდე კვიოსს იწაძლებთ და შემდეგ გაუდგებთ 'ინისსაკენ გზას. ძვიდოდით. თავს მოუყოეთ. გაჯახსაღდით.

— გვადლოათ, ექიმო.

მეწყინა ეს ამბავი.

მე დღე-ღღეზე სახლში წასვლას ვფიქრობ-დი და ამათ კი დახეთ რა მიყვს: ოოი კვი-რის ვადით შინაგან ავადმყოფოვს განკოჟი-ლებაში მიკრეს თავი.

რა გაეწყობა, ბედს უნდა დეგმორჩილდე.

გამოვემტვიდობე შეჩვეულ ამბანავებს.

გავეყვი მოძველეს.

კიბებებზე დავმევით.

ფეხები მექმეცება.

სისუსტესა ვგრძნობ.

მოძველილი მშველის.

— ვინც მოვიდა, გაუშარჯოოოს!—მზიარუ-ლად შემომეყინა ქვედა პალატის კარის შე-

ლებსათანავე ერთმა ჩემმა ძველმა ნაცნობმა ქართულმა, რომელსაც ადრევე გავიცო ჩემი იქ გამწესება და ყოველ წაშს მიმელოდა.

— გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ, ამხანაგებო! მივესალმე ყველას და ხელი ჩამოვართვი ჩემს ნაცნობს.

— რა იყო, ბიჭო, რა დაგემართა, რას იტყვი?—ჯორის ტლინკებივით მომხაყრა ზედიზედ ჩემმა ნაცნობმა ქართულმა.

— მოიცა, მოიცა, თუ ძმა ხარ, არ შემიძლიან, ძალიან სუსტათა ვარ.

— სუსტათა ხარ და ჩამოგვკეი აქ, საღლა მიღისარ!—მიმბაძიკეთ თავის საწოლზე.

— არა, არა, ბარემ ჩემ საწოლზე მოვისვენებ და ის იქნება.

— ეხლავე!—მომიკიდა ხელი და მიმიყვანა დანიშნულ ადგილამდე.

წამოგწვიქი.
სული მოვიტყვი.

იგივე ჩემთან ჩამოგდა.
— სხვა, ბიჭო, რასა იქ, როგორა ხარ!—

ცოტა ხნის შემდეგ კვლავ მიმიკიხა ქართულმა.

— ვარ რაღა: არც ავად, არც კარგად. შენ რაღამ მოგიყვანა აქა?

— მაციებს, ბიჭო!

— აი შე უხეირო, შენა! ციებამ ისე როგორ დაგიჩოთორა, რომ აქ გამოამწყვდეთუხარ? გართუ ველარ იწამლებდი?

— ემე, შეილოსან, გეტყობა შენ არ გამოგიცდია, თორემ არც ვგრე იოლად ილაპარაკებდი.

— ციება რა არის და იმისი გამოცდა რაღა უნდა იყოს.

— რა ვიცი, კაცო, მე კი ასე ზეზეურად ჩამომახმო ამ ნაოხრემა და... ვერა მხედვე რა ზაფრანის ფერი მადევს. შენც ხომ გასოვს ჩემი წინანდელი მადა: თითო ჯერზე თითო კამეჩი არა მყოფნიდა. ეხლა კი ერთ კვერცხსაც ძლივს ვათავებ.

— მაინც რას გეუბნებიან ექიმები? დიდხანს დარჩება აქა?

— რასა მწყველი, კაცო, დიდხანს კი არა, ხვალ მივიდვარ სახლში.

— ეგოე ძაღუ?

— თაღა მალეა, ორი კვირა მისრულდება.

— ეროპაა, შენ უკვე მოგიტავებია შენი ყავლი. ბრალი ჩემი თორემა...
* * *

დაღამდა...
აქაც ისეთივე წესი დამხვდა, როგორც იყო სადოსტაქრო განყოფილებაში: ძილის წინ—

ზღაპარი.

— აბა, ამაღამ ვისი ჯერია?—შეუღდგენ ძიებას.

— მოღით ჯერს თავი გავანებოთ და ისევ ჩვენს ქართულ იოსებას ვათქმევინოთ გამოსამშვილობელი ზღაპარი, ხომ იცით, რომ ხვალ დანა გვშორდება და შინ მიდის.

— ნეტავი მაგას!

— ბიჭა და ნუ იტყვის!

— ვინ თავ-მკედარი, მეც რომ მაგასავით სახლში მივიღოდე, ერთს კი არა ათსაც ვიტყოდე.

ლაზღანდარობდნენ ზღაპრის მოყვარე ავად-მყოფები.

— არა, თქვენი თავად რომ მაგდენსა ლაპარაკობთ, მე აღარა მკითხავთ?—საყვედურით მიპმართა ქართულმა.

— შენ ვინა გკითხავს, რასაც ჩვენ დავადგენთ, უსიტყვიდ უნდა დემორჩილო.

— ბიჭოს! კარგი ამბავია, თქვენმა მუხმ!

— ჰო-და რას ჯიუტობ, შე კაი კაცო, შენა. სიტყვი და გაათავე რაღა.

— აღარ ვიცი, ხალხო და რა წყალში ჩავვარდე. რაც ვიციღი აქი მოგიყვივით.

— რას ჩასციებინხართ. ხომ იცით მაგისი ხსიათი: თუ ვართხელ ვირზე შეჯდა, აღარ გადმოჯდება.

— ეგვეც შენ, ეხლა ვინდა სიტყვი და ვინდა არა.

ავტლიანებდნენ ჩემს ნაცნობ ქართულს, მაგრამ ამბოდ: ის ისევე კეპადა და დინჯად იღვა უარზე.

— შე რომ გადამკიდებინხართ ძველი ხურჯინივითა, ემაგ მასწავლებელს ათქმევინოთ?! მაგას უფრო კარგებისა არ ეცოდინება, ნასწავლი კაცია!—მიუთითა ქართულმა ერთ ახალგაზრდა კაცზე, რომელიც სათვალეების ქვეშედან ათვალთვალებდა ყველას და მათ უბრალო დავა-კამათზე ჩუმ-ჩუმად იღიმებოდა.

პირი მისკენ იბრუნეს. სთხოვეს. არ იუარა.

არ გააწბილა ქართულთან იმდენ ხანს ხეცწნა-ყოყმანით გაბეზრებულები.

სიჩუმე ჩამოვარდა—

— დიდებულ სახანაობას წარმოადგენს მრავალი საიდუმლოებით გარემოცული და ბუნების მხატვრულ ფერადებით შექმნილი დარიალის ხეობა—დაიწყა მასწავლებელმა—ამ ზღაპრულსა და ჯადოანურ ხეობას ამაყად სდარაჯოემენ უხარაზარნი ძთახი კავკასიონისა.

რაც უნდა გულ-ზეიადი, რაც უნდა სიბრძნითა და მეცნიერების ცოდნით იყოს აღჭურვილი ადამიანი, აქ, ამ გრძნეულებათა და საკვირველებით სავსე არე-მარეში უსათუოდ უძლურ და უწინშეხელო აოსებად იგრძნობს თავს.

ვარემო მძლავრ და მრისხანე დარიალის ხეობისა შიშის ზარს სცემს ყოველ არსებას.

მხოლოდ მდინარე თეოგია შეუპოვარი.

არაბეთის უდაბნოს დაჭრილ-დაკოდილ ლომსავით ფაფო-აყოილი შოპქუხა ამ თვალჩაუწვდენელ ხეობის სიღრმეში და ღრიალი მისი ჰახოავს სიღამოს.

ვეფხვის სისწრაფის შქონე მდინარეა თერგი. უსისოვარ დროიდან მომწყვდელულია იგი ამ ვიწრო ხეობაში და მას აქეთია, რაც თავ გამოდებით და ძალ-გულგონობით იბრძვის ამ შემღონებელ ტყეობიდან გასანთავისუფლებლად.

სასტიკი და დაუნდობელია ეს ბრძოლა.

ზოგჯერ ისეთი სიწქართა და სიშმაგით მოგრგვინავს მდინარე თერგი და ისეთ უდიდეს ლოდებს მოარაზრახებს, გეგონებათ ცისა და ქვეყნის დაქვევიაო.

ასეთია ავღარში.

დარში კი ამ ხეობას მოხდენილად თავს დასტრიალებენ არწივები.

არწივების მალა ამპარტაგნულად აღმართულია ბუმბერაზი შთა-ყაზბევი, რომლის ცად მიბჯენილი მწვერვალიც ზამთარ და ზაფხულთოვლით მოსილია და მზის სხივებში ისე ეღვარებს, გეგონებათ მთელი ხმელეთის ვეებერთელა ალმასის თვალთაო.

ეს ადგილები ბუღეა უკვდავ ლეგენდების და ზღაპრების.

ეს სამშობლოა ამირანისა.

იგი არის მიჯაჭვული ციკაბო კლდე.

ეს კლდე გარშემოზღუდულია უმაღლეს მთებით და ნაპარლებით.

— ვინ დამწყვდია იქ ამირანი?—ჰკითხა ერთმა მსმენელთაგანმა.

— ბოროტმა ღმერთებმა!—მიუგო მასწავლებელმა.

— რა დაუშავათ?

— ბრძოლა გამოუტყადათ: — რისთვის.

— ხალხის განთავისუფლებისთვის.

— ვისგან?

— იმავე ღმერთებისგან.

— რისგან?

— ძალმომრეობისა და თვითნებობისგან.

— ვინ აყო ამირანი?

— ზუ აწყვეტინებ, ამხანაგო! ხელს ნუ უშლი!

— შეწიწნეს დანარჩენმა მსმენელებმა სულწასულ შეტკითხველს.

— ამირანი დაბეჩავებულ ხალხის გმირი იყო; მისი მოსარჩელე და მფარველი—განაგრძო მასწავლებელმა.

...ჰო და, ღმერთებთან სასტიკ ბრძოლაში დაპარტყებული ამირანი, როგორც გითხარით, კლდეზე მიჯაჭვული იტანჯება და ელის შევლას.

უკვდავება და ტყვეობა!—აი იმისი ხევირი და სასჯელი.

ეს ამბავი ასე მოხდა: ზაფხული იდგა...

დაბლა ბარი თუ შეწუხებული იყო ჰაანაქება-სიციხსაგან, სამაგიეროთ შთა მზიარულობდა თავისი ჰაერის სივრცითა და მწვანეთ მომიბინე კალთებით.

იმ ახლო-მახლო არემარეში, სადაც თურმე ამირანია მიჯაჭვული, ვიღაც უცნობი მწყემსი ცხვრის ფარას ამოვებდა.

ეს ცხვრის ფარა ისე ლამაზად და თეთრად შეფენილიყო შთის ზურმუხტოვან ფერადობზე, თითქოს გაზაფხულის პირას ზამთრისგან დარჩენილი ობოლი თოვლითაო.

ცხვრები მაღიანად შეიქცეოდნენ ცარიან ბალახს.

დედა-ბუნების სიკეკლუტითა და სიდიადით მოჯადოვებული მწყემსი ვაზლილ ცხვრის ფარის მახლობლად არხინად წამოყოლილიყო ერთ-ერთ ხის ქვეშ და ოცნებით გატაცებული ხმა-ტკბილად არაკრაკებად ლერწმის სალა-მურს.

სალამურის ანდამატურ წკრიალა ხმას, კლდეზე მიჯაჭვულ ამირან-გმირამდისაც მიეღწივნა.

— ვინ ხარ და რა სულიერი, რომ ეგრე თილისმური ძლიერებით ამეტყველებ მაგ უტყუ სალამურს?—მოულოდნელად ჩაესმა ყუბო მწყემსს.

ყუმის და შემკრთალი ნადირივით ზეზე წამოვარდა.

— ვინ უნდა იყოს ამ უკაცურ ადგილას თუ არა მეცხვარე?— გაიფიქრა მწყემსმა და ყურთა სმენა მოიმახვილა.

— არ გესმის, ადამიანო! ნუ თუ შენც მტერი ხარ ჩემი, ნუ თუ შენც მერიდები? მაშ, რად შეგშურდა ის წამითი სიამოვნება, რომელიც ვიგრძენი შენი სალამურის წყალობით? მაშ, რად შესწყვიტე ეგრე მალე მისი რაკი?

— ვინა ხარ, კაცო: კეთილი სული თუ ავი სული? ქვესკნელიდან მელაპარაკები თუ ზესკნელიდან?— შეშინებული იძახდა მწყემსი.

— ნუ გეშინიან! მე ამირანი ვარ!

— ამირანი?— გაოცებით გაიმეორა მწყემსმა.

— ჰო, ამირანი! ნუ თუ არც ერთხელ არა გსმენია ჩემი სახელი?

— მსმენია, მაგრამ...

— ჰო და, ნუ შიშობ. ენდე ჩემს სიტყვას.

— რა გსურს, რა გინდა?

— ყური დამიგდე: მე ავმღერდები. შენ ამ სიმღერის ხმას გამოჰყვები. უშველემელ მთას მოადგები. მოსვლა შენი და ამ მთის გარღვევა ერთი იქნება. შემოხვალ ჩემთან. და აქ გეტყვი დანარჩენ ამბავს.

— კარგი და პატიოსანი, მაგრამ ცხვრის ფარას რა ფუყო, თავი როგორ დავანებო?

— ცხვრის ფარა რა სახსენებელია იმ ბედნიერებასთან, რომელსაც მე მოვანიჭებ?

— კარგი. დაიწყე.

ამირანმა შემოსძახა:

ტანჯული ხალხის შვილი ვარ, ტანჯულთა მოძმედ შობილი; გულში ცეცხლ-გაუქრობელი, ბრძოლაში გამოწორობილი. მრავალი საუკუნეა, რაც მოსჯილი მაქვს ტყვეობა, მაგრამ მე მინც აი ვკვდები, არც დამლევია მხნეობა. მოვა დრო, პირვე დავამხო მონობის ტახტის მძლეობას, და ყველგან გავავატონებ ხალხის ნებას და მეობას. მოვა დრო და მეც საჯაროდ გადავიხდი ღვინის და ღრეობას; ყორენების ლეშით ავაგებ დიდ დარიალის ხეობას!

მწყემსი მისდევდა ამ სიმღერის ხმას.

იარა, იარა და მიადგა იმ აყუდებულ მთას, რომლის შიგნიდანაც მხოლოდ გუგუნო-ლა მოისმოდა ამირანის შეწყვიტულ სიმღერისა.

მწყემსის მისვლა და მთის შუა გარღვევა ერთი იყო.

საკვირველება რამ გადაიშალა მეცხვარის თვალთა წინაშე.

მან აქ იხილა კლდეზე ჯაპვით მიბმული გოლიათი კაცი, რომლის შიშველი ტანიც მთლად ბალნით შემოსილიყო, ხელებისა და ფეხების თითებზე ფხჩილები საოცრად დაზრდოდა. ტანზე გველივით შემოხვეოდა რკინის მსხვილი ჯაპვი და დროთა განმავლობაში ზედ შეზორცებოდა.

მწყემსი ისე შეშინდა მისი დანახვით, რომ გაქცევა დააპირა, მაგრამ ამირანის ელვის მტრკვევიელმა თვალემა დაატყვევა, ერთ ადგილას დააბა.

— მობილო, პური ხომ არა გაქვს?— ჰკითხა ამირანმა გლეხს.

— როგორ არა, მაქვს!— უპასუხა მეცხვარემ.

— მშინ, მაჭამე!

— ეხლავე, ეხლავე!

გლეხმა გულად მოიხსნა, ერთი პური ამოიღო და ამირანს შესთავაზა.

ამირანმა პურს ხელი მოუჭირა და სისხლი და ოფლი გამოიღინა.

— ყველანი ასეთი პურით იკვებებით?— ჰკითხა ამირანმა მეცხვარეს.

— ყველანი.

— თქვე უბედურებო, თქვენა, რა გაქმევთ ასეთ პურს.

— როგორ თუ რა გვაქმევს? არ ვარგა? არ მოგწონს?

— აბა, რა მოსაწონია სისხლით და ოფლით ნაზელი პური?

— სხვანაირი პური ჩვენ არ მოგვეპოვება, არც თუ გავიგონია სადმე.

— ჰმ! თავისუფალი ყოყო, მე ვიცი როგორ პურსაც გაქმევდით, მაგრამ რა ვქნა რომ ტყვეობაში ვარ!

— მიინც, რანაირ პურს გვაქმევდით?

— რანაირსა და, რძისას.

— თუ ეგრეა, მე გავანთავისუფლებ?— აღტაცებით შესძახა გლეხმა.

— მაშ, მომაროდე აი ეგ ხმალი!— თვალე-ბით ანიშნა მწყემსს იქვე შორი-ახლოს დამდებულ უშველებელსა და უძძიმეს ხმალზე.

გლეხმა სცადა აღება, მაგრამ ოდნავადაც ვერ დასძრა.

— ქამარი გაქვს წელზე?— ჰკითხა ამირანმა.

— მაქვს!— მიუგო მეცხვარემ.

— მაშ, აბა, მოიხსენი. ცალი წვერი ხმალს გამოაბი და მეორე წვერი კი მე მომიცი.

გლეხმა ეს რჩევა— მოსაზრებაც უყრყმანოდ შეასრულა, მაგრამ საქმეს ვერც ამ ხერხმა უშველა: ხმლის სიმძიმემ ქამარი შუაზე გასწყვიტა.

ამირანი დაღონდა.

ოხვრა აღმოხდა.

მწყემსსაც იმედი გადაუწყდა.

თავი ძირს ჩაჰკიდა.

მწუხარებას მიეცა.

— მობილო, მოადე და ერთი სიკეთეც გამოიყიე!— მცირე ხნის სიჩუმისა და ჩაფიქრების შემდეგ წარმოსთქვა ამირანმა.

— მითხარი: თავს არ დავოგაგე; სიკოცხლსაც კი არ დავიშურებ, ოღონდ როგორმე გეშველოს და განთავისუფლდე.

— შინ ჯამბარა არა გაქვს?

— როგორ არა მაქვს, შე კაი კაცო, შენა. საქონლის პატრონ გლეხ-კაცს ჯამბარა არ ექნება.

— მაშ, აბა, გასწი და აქ მომიბრუნინე.

— ეხლავე, შენი ჰირი— მე.

— იჩქარე, არ დაიგვიანო.

— არა, არა, ფიქრი ნუ გაქვს, ერთ წუთში აქ გავჩნდები.

გლეხი მაშინათვე სოფლისაკენ გაქანდა. გზაში ფეხი არ შეუსვენებია.

სახლს რომ დაუხლოვდა, შეჩერდა.

კარ-მიღამა მიათვალ-მოათვალეოდა.

შიშობდა: ცოლმა არ დამინახოსო.

ცოლი კი ისეთი ანჩხლი, ისეთი აშირი და აე-კაცი რამა ჰყავდა, რომ რა დღესაც არ იჩხუბებდა, იმ დღეს ბოღმისა და სიბრაზისა-გან ავად ხდებოდა.

მას ამ ყამადაც სახლ-კარი უპატრონოდ მიენებებინა და მახლობელ მეზობლის ლობესთან ვილაცას რალაცაზე წაჰკიდებოდა.

ამ გარემოებით ქმარმა დრო იხელთა: ფრთხილად შეიპარა ეზოში, შევიდა საქონლის გომურში, ჩამოიღო კედელზე დაკიდებული ჯამბარა და ის— ის იყო უკანვე უნდა გამო-ტრიალეულიყო, რომ ამ დროს კარებში და-თვურ ბურღლუნით ცოლი შეეფთა.

— აქ რას აკეთებ, რისთვის მოთრეულხარ, შე მზე—ბნელო, შენა!— ეცა გაწიწმეტული ცოლი ქურდივით მომწყვედილ ქმარს.

გლეხი დაიბნა.

ენა მუცელში ჩაუფარდა.

— რას დამუჯგებულხარ, ხმას რატომ არ იღებ, ცხვრები რა უყავი, შე პირ-შავო, შენა?

— სეტყვასავით აყრიდა გაცეცხლებული ცოლი.

— ცხვარი მთაშია!— ძლივს ამოიღულულა გონ-დაბნულმა ქმარმა და გარედგამოსვლა დააპირა.

— სად მიხვალ შე სიკმე მკვდარო, შენა, ჰა?! ეგ რა გიჭირავს ხელში, ჰა?!

ცოლი ეცა ჯამბარის წასართმევად.

ქმარი კარში გამოვარდა.

ცოლიც უკან გამოეკიდა.

გლეხმა ბევრი უთმინა, ბევრიც იხეწა, გამიშვიო, მაგრამ მინც ევრაფერს ვახდა, თავი ვერ დააღწია შეუსმენარსა და გაცოფებულ დედაკაცს.

ამ ძიძგილისა და გაწამაწიას შემდეგ, მოთინებიდან გამოსულმა გლეხმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გულში მუჯღლუგნი ჰქრა გაკა-პასებულ ცოლსა და ჯამბარით ხელში აწყვე-ტილ ბედაურვივით მოჰქუსლა ამირანის დასა-ხსნელად.

სირბილისაგან მთლად გახვითქიანებული გლეხი გულხეთქებით მივარდა დანიშნულ ად-გოლას, მაგრამ ჰოთ, საკვირველებავ: ამირანი იქ აღარ დახვდა. იგი ისევ მთას ჩაენთქა.

ძღერ შეწუხდა გლეხი, მაგრამ რალს გა-აწყობდა?

— ოჰიმეე, ეს სულ იმ წყეულ— შეჩვენებუ-ლი დედაკაცის ბრალთა: იმ კომლობაგაციე-ბულს რომ იმდენ ხანს იქ არ დავებანდებინე, უიქველად მოუსწრობდი და გავანთავისუფ-ლებდიო— წყრომით გაიძახოდა ცოლის სა-ქციელით გაბოროტებული გლეხი და მუქარის ნიშნად გულზე მუშტებს მაგრად იბაგუნებდა.

გ. ქუჩიშვილი.

(გაგრძელება იქნება).

საქართველოს

დიდხანს მქეჯნიდა უიმილო ბედის ტრიალი
ნარ-ეკლით სავსე იყო გზები დაუნდობელი,
დემონის ფრთები და იმისი მძლავრი ტერციალი
სულს უხუთავდა შრომისა ძეო, იყო მგომბელი.

იღვა ქაოსი... მაგრამ აჰა, შორით ორბიტებს,
წითელი ცეცხლი წაევიდა მძლავრი, დიალი.
ელვის სისწრაფით ეკიდება კიდიდან კიდეს,
და ხსნის ემბლემაღ გაანათა ბნელი წყვილილი.

დღეს მის სხივებში თინათინობს აღმოსავლეთი,
ვით ცის გუზბათი გაზაფხულის მშვენიებით სავსე,
ო, ამ სიტუტრფეს ვერ წაუვა ველარაც ერთი,
მწამს მთელს მსოფლიოს მოველება შევებით აღსავსე.

ო, საქართველოვ! ეგრე არ დროს არ მყვარებინარ,
რადგან გამშვენებს სილიადე წითელი ფარჩის,
იყავ ამაყი, შეუღრეკი, როგორც ჩვეულებარ.
დღეს შენს სიტუტრფეს ვერ გაყიდის ხელები ჩარჩის.

მალლით დაგცქერის მზე ეთერი თვალბ შუქურა,
ოქროს მძივებად ასხივისნებს შენს ტურტა მდელოს,
ო, ვინ გაბედავს თქვას,—წყვილილით ჩამოიბურა,
სხივი აკლია მშვენიებისა დღეს საქართველოს!?

ონისიმი ქვიტირელი.

„საბჭალის“ ტყვეობაში

(გაგრძელება. იხ. „ჩიბადე. № 15—16)

4. ნ ა ს კ ი

ყოველ ისტორიას აქვს თავის ნასკვი. იგი შეიქლება შეისკვნას უცბად, ერთ დღეს, ერთ საათში. შეიძლება საკმაო ხანსაც ვასტანოს. ასე იყო აქ მოთხრობილ მცირე ამბავშიდაც. მთელი ექვსი თვე ინასკვებოდა ნასკვი, და ერთ მშვენიერ დღეს ისეთი შესკვნილი აღმოჩნდა, რომ შემსკენელიც კი გვიღარ გახსნიდა მას.

საკმაო იყო მცირეოდენი რამე, რომ თოკი უკანასკნელად გაქიმულიყო, და ნასკვს მიეღო უკანასკნელი ფორმა.

განყოფილებაში მცირე უსიამოვნება მოხდა. ამავეი შარშანდელია, და ვინ იცის, რომ ეს უსიამოვნობა არ მომხდარიყო, როგორ წაიწვედა წინ უწყების უფროსი საზოგადოებრივ მოღვაწეობის ასპარეზზე.

ორშაბათია. განყოფილებაში აუარებელი სამუშაო იყო დაგროვილი, წინა ორი დღის ზედიზედ უქმობის გამო. ყველა უკმაყოფილო იყო და ერთმანეთს აბრალებდნენ საქმის მოუსწრებლობას. მარის მაგიდაზე დასაბეჭდ ქაღალდების გროვა ყოველ წუთს იზრდებოდა. ეს მით უფრო გულსაკლავი იყო მარისათვის, რომ მას დღეს ორი თავისი, კერძო საქმე ჰქონდა მოსავარებელი, და საამისო დრო კი არ მოეპოვებოდა.

ასეთ ცუდ გუნებაზე იყო ყველა, როცა უწყების უფროსმა ჩამოიარა და გადახედ-გადმოხედა მაგიდებს. შემდეგ სხვა ოთახებში გავიდა.

მარამ შეწყვიტა მუშაობა და გააყოლა მას

თვალბი. საქმის მწარმოებელმაც დაანება თავი კარნახს და მარის მიაჩერდა: არც ის იყო დღეს კარგ გუნებაზე.

— განაგრძეთ!.. განაგრძეთ!.. ცოტა ბრაზ-მოარვეთ თქვა მან. უფროსი ისე არ დაგიფიქვებო, რომ დღესაც არ მიგიწვიოსთ კაბინეტში. იქაც დატკბებით მისი ცქერით!..

მარი გაკვირვებული მიჩერებოდა საქმის-მწარმოებელს. ეს უკვე ხუმრობა აღარ იყო. როგორ უბედავდნ მას ასეთს ლაპარაკს.

— ეს თქვენი საქმე არ არის!.. თქვენს ქერქში დაეტიეთ, მკვებდ უპასუხა მან.

— მაშ, ვისი საქმეა?! ხომ ხედავთ, ქაღალდები გვიანდებია!..

— მერე, მე რა?..

— ის რომ, განაგრძეთ, თუ შეიძლება დღეს ბეჭდა.

მდგომარეობა რთულდებოდა. ყველა მათ მიჩერებოდა.

— ოა უფლებით მელაპარაკებით თქვენ მე ასეთ ტონით!.. წამოიძახა მარამ და ნერვიულად გაათამაშა მანქანის ლერძიკი იჭით-აჭით...
— განაგრძეთ ბეჭდა, დროს...
— მე თქვენს ქაღალდებს არ დაგებეჯავ. მოუჭრა მარამ, გადაარჩია ზოგიერთი ფურცლები, ლერძიკიდანაც ამოაძრო ერთი, და დაჰყარა საქმისმწარმოებლის მაგიდაზე.

— რატომ არ დაბეჭდავთ?..
— იმიტომ!..
— მაინც?..

— მე თქვენ ქაღალდებს არ დაგებეჯავ, უფრო ვაკაპასებით მიუყო მარამ.

ეს ტკბილი ბასი, შეიძლება კიდევ უფრო გაგრძელდებოდა, რომ ამ დროს უფროსს არ გამოეგლო უკან და საქმისმწარმოებელი თავის მაგიდისკენ არ წასულიყო.

მარი გულმოსული ჩასცქეროდა მანქანას. გავიდა უფროსიც და განყოფილებაში ისეთი საოცარი სიჩუმე დადგა, რომ ყველანი გაკვირვებით ერთმანეთს მიჩერებოდნენ. ბოლოს მარამ ააკაუნა მანქანა. ბეჭდავდა ცოტა ხანს, მერე ადგა და კარებისკენ გაეშურა.

საქმისმწარმოებელმა გააყოლა თვალები და რაღაცას მიხვდა. მიხვდნენ სხვებიც.

— კაცო, რა განხუბებდა, უკმაყოფილოდ თქვა გამგის თანაშემწემ. მაგასთან ჩხუბი შეიძლება?.. წაევიდა ეხლა საჩიველად და რას აპირებ.

საქმისმწარმოებელმა უსიტყვოდ ჩააქნია ხელი და წერას შეუდგა.

ისევე სიჩუმე ჩამოვარდა. საკმაო ხნის შემდეგ მარი დაბრუნდა და ისევე ბეჭდავდა. არ გასულა ხუთი წუთი, რომ ქვევიდან ამოვიდა დარაჯი და საქმისმწარმოებელს შეატყობინა, უფროსი გიხმობთო. მარი უფრო დაიხარა მანქანაზე. საქმისმწარმოებელი უსიტყვოდ გავიდა ოთახიდან.

თუ რა მოხდა ქვევით, უფროსის კაბინეტში, ამის შესახებ, საქმისმწარმოებელმა დაბრუნებისას არაფერი სთქვა, და არც არავის უკითხავს რამე, გაფთხრებული სახე ყველაფერს ამტკიცებდა.

მხოლოდ დარაჯი ამბობდა, რომ საქმის-მწარმოებლის კაბინეტში ყოფნის დროს, უფროსის ყვირილი მესამე ოთახშიდაც კი ისმოდაო, ყვიროდა რაღაც „კორექტობაზე“ და უზარდულობდაზეო.

საერთოდ ეს შემთხვევა მხოლოდ შემჩნვეთი გათავდა.

5. „უკუღმართი“.

რამოდენიმე დღის შემდეგ, როდესაც № უწყების თანამშრომლები გაზეთებს ათვალეი-ოებდნენ, წააწყდნ ასეთს წერილს:

თავის აშვება თუ შეგნებულნი საზო-ტაუი.

№ უწყების მბეჭდავმა ქალებმა, ამ ბოლო დროს, საშინლად აიშვეს თავი. იმის მაგივრად, რომ მანქანებს უსხდნ და კეთილსინდასიერად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს, ერთმანეთთან ვიზიტების კეთებაში ატარებდნ დროს. პრანქიობაზე და სარკეებში ცქერაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ქაღალდები დროზე ვერ იბეჭდებო, გვიანდებო, და ამის გამო უწყების ნორმალური მუშაობაც შესამჩნევად ფერხდებო. საქიროა ამ გარემოებას ეხლავე მივცქნე ყურადღება, და თავაშვებული „სამბაბიონები“ რკინის ცოცხით იყვნენ გამობეჭტილი უწყებიდან.

უკუღმართი.

წერილთან ერთად შესაფერი კარიკატურაც იყო მოათავსებული. ეს ამავეი ელვის სისწრა-

ფოთ მოედო მთელ დაწესებულებას. მბეჭდავი ქალები, რომლებს გაზეთის დანახვაც კი ჭირით სძულდათ, ეხლა ერთმანეთს სტაცებდნ ხელიდან გაზეთს.

შთაბეჭდილება ორგვარი იყო. უმეტესობა კმაყოფილებას გრძობდა და მადლობას უგზავნიდა წერილის დამწერს. მეტი წელი ქალებისა კი საშინლად აღშფოთებული იყო რაღა ითქმის რემინტონისტკაზე.

შეიძლება ითქვას, რომ ამ დღეს უწყებებში ათი ქალაღი არ დაბეჭდილა.

ქალები დარბოდნ ერთმანეთთან და ბკობდნ რა ექნათ, როგორ მოქცეულიყვნენ. ბოლოს გარდაწყვიტეს საპასუხო წერილის შედგენა და ხელისმომწერების შეგროვება, შეადგენეს ტექსტი ერთ თანამგრძობ ახალგაზრდას, სადაც ჩამოთვლილი იყო მათი ყველა ღირსებანი, და საქმის უფრო წარმატებით წასაყვანად და მეტი ხელმომწერების შესაგროვებლად ჩააბარეს ის მარის.

გაზეთით და შედგენილ პასუხით ხელში პირველად უწყების უფროსთან შევიდა. ამას წერილი უკვე წაეკითხა და მიხვდა, რისთვისაც შემოვიდა მარი.

— როგორ ფიქრობთ, ვინ დაწერდა, კითხა მან დიმილით.

— ალბად ის...

— მაგასაც გავიგებთ. ეხლა რას აპირებთ, როგორ გინდათ მოიქცეთ?..

მარიმ საპასუხო წერილი გაუწოდა და სთხოვა მოეწერა ზედ ხელი.

უფროსმა ჯერ გადაიკითხა.

— არა... არ ვარგა... პირიქით კიდევ უფრო სასაცილოდ ავიგდებინ... წადით თქვენ და მე მივაგვარებ ამ საქმეს. მხოლოდ აწი ფრთხილად იყავით, თორემ შემდეგში ჩემს დახმარებას ხელარ ელით.

მარი გახარებული გამოვიდა, და იმ წამსვე შეატყობინა ამხანაგებს სასიხარულო ამბავი.

დაძახებულ იქნა კაბინეტში ახალგაზრდა საქმის მწარმოებელი.

— თქვენი დაწერილია?.. უჩვენა წერილზე უფროსმა...

— არა!.. გადაწყვეტილებით მიუგო ახალგაზრდამ.

— მაშ, შეიძლება იცოდეთ, ვინაა ავტორი.

— არც ეს ვიცი. შემიძლია კი გავიგოთ. ერთი ჩემი მეგობარი სწორედ ამ გაზეთის რედაქციაში მსახურობს.

ეს ფანდი იყო, უფროსი ეჭვის თვლით უცქეროდა.

— კარგი, მე ავტორის ვინაობის გაგება სრულებითაც არ მსურს. პირიქით, მე ძლიერ მოხარული ვარ, რომ ჩემს უწყებებში ასეთი ერთგული თანამშრომელი მყავს. მეტი არაფერი.

სიტყვები სხვა იყო და ტუჩებზე გესლიანი დიმილი კი სხვა.

შემდეგ დაბარებულნი იყვნენ ყველა განყოფილებების გამგებები საქმის ვითარების გამოსარკვევად. და ორი დღის შემდეგ იმავე გაზეთში მოსამსახურენი ასეთ საპასუხო წერილს კითხულობდნ:

„როგორც უწყების ყველა განყოფილებების გამგებების დაკითხვისაგან გამოიკვია, თქვენი გაზეთის ხუთშაბათის ნომერში მოთავსებული „უკუღმართის“ წერილი „თავისაშვება თუ საბოტაჟი“ სიმართლეს არ შეეფერება. ვის დასჯირდა უდანაშაულო ხალხის თავზე ასეთ ბრალდების მოხვევა, პირდაპირ განსაცვიფრებელია. ყოველ შემთხვევაში, ავტორს არ ამოძრავებდა საზოგადოებრივი ინტერესი. მისი მიზანი სხვა იყო. — ეს კერძო, თავისი ღვაძლიან გულის დაქმნაყოფილება. რაც შეეხება იმას, რომ მბეჭდავები მუშაობას ვერ ასწრებენ, — ეს ნაწილობრივ მართალია; მაგრამ აინსება არა იმ მიზეზით, რომელიც მოყავს „უკუღმართს“, არამედ შტატების მეტისმეტ შემოკლებით. ამ მიმართულებით ზომები უკვე მიღებულია, და უწყების მუშაობის ნორმალურ მსვლელობას არავითარი ხიფათი არ მოეღოს.

აწერდნ ამ განცხადებას ხელს თავთ უფროსი, მუშკორი, ყველა გამგები და აგრეთვე ზოგიერთი თანამშრომლებიც. როგორ მოხდა ის, რომ ხელისმომწერლებში ერიენ ისეთებიც, რომლებიც საშინლად გაახარა „უკუღმართის“ წერილმა, ეს უფროსის კაბინეტის საიდუმლოება იყო.

დაქმნაყოფილებული მბეჭდავი ქალები ზეიმობდნ. მაგრამ წერილმა მაინც იქონია მათზე გავლენა, და პირველ ხანებში საკამარისად მოუკლეს უწყებაში უთავბოლო სერიზობას და ერთმანეთში გაუთავებულ ბაასს.

6. კოჯორისაკენ.

დადგა ზაფხული.

იმ განყოფილებების ოთახები, სადაც მარი მუშაობდა, პირდაპირ მზეზე იყო მიშვებული. ცხელიდა საშინლად. გამგის მაგიდაზე დადგმული ვენტილატორი აგრილებდა მხოლოდ გამგეს. მარი ხშირ-ხშირად დგებოდა სკამიდან და უჯღებოდა ახლოს ვენტილატორს. როდესაც გამგე არ იყო, დაიქერდა ფურცელ ქალაღს ხელში და უხვედრებდა ვინტის ფირფიტებს. ისეთი ხმაურობა გამოდიოდა თითქოს სახარატო მანქანა მუშაობსო.

— მოუჯდა ჩვენი „ბარიშნა დაზგას“, იტყოდნ სიცილით თანამშრომლები.

ერთხელ ასე ირთობდა თავს მარი, როდესაც მაგიდაზე ტელეფონმა დარქა. მარიმ ყურმილი აიღო და იცნო მოლაპარაკის ხმა. ეს უწყების უფროსი იყო. უნდოდა სწორედ მარი და თხოვდა ქვევით ჩამოსულიყო თავისი მანქანით. გაათავეს საუბარი. მარის სახეზე თითქოს უკმაყოფილება იყო. ადგა, შეატყობინა თანამშრომლებს, რომ ქვევით მივდივართ, თანაც თამარას თხოვა, მე დარაჯს გამოგზავნი და მანქანა გამოატანეთ.

იმ დღეს უფროსი, ეტყობოდა, კარგ გუნებაზე იყო. მიზონგნელები არ უცდიდნ. ალბად, მათი მიღების დრო არ იყო. მუშაობის დროს ხუმრობდა კიდევ, და სხვათა შორის ისიც თქვა, რომ დღეს საღამოს კოჯორში მიემგზავრება, იქ ერთი საქმის ადგილობრივ

გამოსარკვევად. მიემგზავრება, რა თქმა უნდა, თავის ავტომობლით.

— მე ჯერ არც კი მინახავს კოჯორი, მწუხარებით წამოთქვა მარიმ.

უფროსი გადაკარულს მიხვდა, — მერე, ძლიერ გინდათ ნახოთ?.. კითხა მან — ძლიერ.

— მაგაზე ადვილი რაა. წამომყევით მე, თუ ეს თქვენთვის შესაძლებელია. მით უმეტეს ხვალ კვირაა.

მარისთვის ამაში შეუძლებელი რა იყო. უფროსის მიშვნიერ „ფიატირ“ გასიერება მას დიდი ხანია უნდოდა.

გადაწყვიტა, რომ დანიშნულ დროზე, უფროსი გამოუვიდა მარის, გააჩერებდა ავტომობილს ცოტა მოშორებით, რომ ვინმეს არაფერი ეფიქრა, და იქ დაუყვიდა მას. მარაც ზოვიდოდა.

ყველაფერი ასე ნახდა.

საღამოს ხუთი საათი იქნებოდა, ქალაქს რომ გაშორდნ. შოფერმა მოხვეულში მოხსნა სწრაფად ნომერი ავტომობილს და საშინელ სიჩქარით გააქროლა მანქანა.

ქარი ზუზუნებდა ყურებში. უფროსი მიჩერებოდა ქალის სიამოვნებისაგან აწითლებულს სახეს და ლეღავდა. წამით გაუფლავა თავში, რომ ღალატობდა თავის წარსულ ცხოვრებას, აზრებს, ამხანაგებს, მაგრამ, როგორც ხშირად შეგებოდა ამ ბოლო დროს, სწრაფად მოიშორა ეს შემაწუხებელი ფიქრი. ყველაფერი მისგან ეხლა შორს იყო.

ავტომობილი გულმოსულად ქმნიავდა და მტვერის კორიანტელს ტოვებდა უკან.

კვირა საღამოს ისევ ქალაქში იყვნენ. ვინ უფრო მოიგო ამ მეზავრობით, ეს შემდეგში გამოიკვია, მხოლოდ ამ დღიდან მარის ძლიერ გაატყობდა უფროსის „ფიატირ“ და დააქროლებდა მას საითკენაც სურდა; ხან მარტო, ხან ამხანაგებთან ერთად.

7. ისევ „უკუღმართი“.

მაგრამ, სჩანს, ან უწყებაში მავნე სული მაინც არ ისვენებდა. ის რაღაც სახედისწერით ეეკვიატა უწყების უფროსს. ერთ დღეს გაზეთის ფურცლებზე ამნაირ წერილი იყო:

რას გავს ეს?

ამ ბოლო ხანებში საბჭოთა ავტომობილი № 2624 ხშირად დაატარებს ვილაცა ახალგაზრდა ქალებს. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ამ ქალებს არავითარი კავშირი არა აქვთ მანქანასთან. საინტერესოა, ვისია ეს მანქანა და ვის ხარჯზე დაქროლავს იგი ასე უთავბოლოდ. ველით პასუხს...

უკუღმართი.

წერილი ბევრმა შენიშნა. კარგ ადგილზე იყო მოთავსებული.

მეორე დღეს უფროსი უწყებაში არ გამოცხადებულა. სამაგიეროდ შემდეგ დღეს დილის ცხრა საათზე უკვე თავის კაბინეტში იჯდა. დანიშნული იყო გამგეობის სხდომა რამოდენიმე საკითხის გადასაწყვეტად. როდესაც ანას მოჩვენა, უფროსმა სთქვა, რომ მას საქიროდ მიჩინია, დაწესებულებაში კიდევ მოხდეს შტა-

ტების შემოკლება. გამგებები განცვიფრდნენ და განაცხადეს, რომ ეს შეუძლებელია; შტატი ისედაც არ ყოფნის, ზედმეტი საათების რიცხვი იზრდება, რაც უფრო მეტ გასავალს იწვევს, ვიდრე რამოდენიმე კაცი ყოლა. უფროსმა განმარტა, რომ ეს შტატის შემცირება უნდა ცოტა სხვანიარად იქნას გაგებულა. სახელდობრ: როგორც მან შენიშნა უწყებაში მუშაობა საგრძნობლად კოჭლობს, რაც უნდა მიეწეროს ზოგიერთ თანამშრომლების უვარგისობას. ასეთები არიან ყველა განყოფილებაში, და აი სწორედ ამით უნდა შეგნოთ შეკვეცა. რა თქმა უნდა, მათ აღვიღოთ ისევ სხვები იქნებიან მოწვეულნი, უფრო გამოსადეგარნი და საქმის უფრო კარგად მკოდნენი. ცოტა ლაპარაკის შემდეგ წინადადება მიღებულ იქნა.

იმ დღევე საღამოს, კომუჯრედის ჩვეულებრივი სხდომა იყო. სხდომაზე ერთმა პირმა განაცხადა, რომ უწყების სათავეში მდგომი ამხანაგი უფინ ყოველთვის წესიერად ესწრებოდა კრებებს და ამ ბოლო დროს კი არ ცხადდებოდა. ვიღაცამ კიდევ გაზეთებში მოთავსებული წერილები ასხენა. ამაზე მდივანმა განაცხადა, რომ პირილზე დამაყმაყოფილებელი პასუხი იყო გაცემული, რაც შეეხება მეორეს ამაზე ჯერ მას არაფერი წაუკითხავს და საჭიროა დაცდა. საზოგადოთ, სჩანდა რომ უწყების უფროსზე შეხედულება საგრძნობლად შეცვლილიყო.

დღეები მიდიოდნენ, საპასუხო წერილი კი გაზეთში არ იბეჭდებოდა. ამაზე თითქოს დავიწყებას მიეცა.

ერთ საღამოს დანიშნული იყო მოსამსახურების საზოგადო კრება. კრების წინ მოხსენება უნდა გაეკეთებია თვით უფროსს. თემა: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.

როგორც ყოველთვის, კრებაზე თუ ყველა არა, მეტი წილი მინც გამოცხადდა. მოხსენება ალაგ-ალაგ საინტერესო იყო, ალაგ-ალაგ კი მეტად მოსაწყენი, ამიტომ მსმენელებში ცოტა ხმაურობა იყო ერთმანეთში კერძო ბასის გამო.

მომხსენებელმა თავისი მოხსენება გაათავა შემდეგი სიტყვებით:

„დღესდღეობით ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა ისე მაგარია, როგორც არასოდეს. ამ ფრონტზე ჩვენ ვიმარჯვებთ. არის კიდევ მეორე ფრონტი—ეს სამეურნეო და სამრეწველო ფრონტი. ამ ფრონტზედაც დღითიდღე ვიმარჯვებთ. მაგრამ სრული გამარჯვება ჯერ კიდევ შორსაა. ამისათვის, უპირველესად ყოვლისა, საჭიროა საშუალებების რაც შეიძლება მეტი ეკონომია, ეკონომია და ეკონომია!..“

შოისმა თხელი ტაში. შეკითხვები ცოტა იყო. სხვათა შორის, ერთი წერილობითი შეკითხეც იყო. როცა მომხსენებელი ზეპარ შეკითხვებზე პასუხებს მორჩა, მან გაშალა დახვეული ქაღალდი და არც კი გადაუთვალთვალა, წაიკითხა: „მე მინდა შეგეკითხოთ, არის თუ არა ეკონომია სახელმწიფო ავტომობილით ქაღალდის უსაქმით ტარება, და რამდენად უწყობს ეს ხელს ჩვენს მეურნეობის და მრეწველობის აყვავებას...“

აუდიტორიამ ყურები დააცქვიტა. მომხსენებელი არ დაიბნა და გულმოსული ხმით განაცხადა:

— მე ვიცი, რა მიზანი აქვს ამის დამწერს. ვიცი ისიც, ვან არის ავტორი. მას რომ მოესურვებია, და აშკარად გამოსულიყო აქ, მე მას პასუხს გავეცემდი. ის ალბად გულსხმობს გაზეთში მოთავსებულ წერილს. ვაცხადებ ყველას გასაგონად, რომ პასუხი რედაქციაში უკვე გაგზავნილია და ვისაც აინტერესებს იგი, —გაზეთში წაიკითხავს მას. მეტს ენლა არაფერს ვიტყვი.

თუმცა მეტი წილი მსმენელებისა ფიქრობდა, რატომ არ შეიძლება ამ პასუხის აქ გამოქვეყნება, მაგრამ არავის არაფერი უთქვამს.

შემდეგ გადავიდნენ დღის წესრიგზე. გავიდა ორ კვირაზე მეტი, გაზეთში საპასუხო წერილი მინც არ იყო. ამაზე თითქოს ისევ დავიწყებას ეძღვოდა.

ერთ დღე უწყებაში ხმა გაგრეცვდა, უფროსი სხვა დაწესებულებაში ამირებს გადასვლასო. ზოგიერთები იმასაც ამბობდნენ, რომ ის თვით აი არ კადანის, არამედ გადაჰყენონ, პარტიიდან შენიშვნა მიიღო და აქვეითებენ კიდევცო.

გადაყვანის შესახებ ხმა გამართლდა.

8. ახალი გამარჯვება.

ერთ დამეს, ქალაქის ერთ განაპირა უბნის ბნელ ქუჩაზე მოდიოდა ეტლი. ამ მხარეზე ეტლი მეტად იშვიათი იყო. შიგ ოთხი მგზავრი ისხდა.

— მოსჩანს უკვე, გადმოსძახა მეეტლემ მგზავრებს და ცხენები შეაჩერა.

ეტლიდან გადმოსტა ორი ვაგი და ორი ქალი, და იქით გაეშურნენ, საითაც მეეტლე მიუთითებდა. ცოტა ხნის შემდეგ მიადგნენ ეკლესიას. გალავანში მღვდელი უკვე ელოდებოდათ. მან საჩქაროთ გააღო ჯერ ალაყაფის, შემდეგ ტაძრის კარები და შეიპატივა სტუმრები.

ჩვეულების შესრულება ღიძხანს არ გაგრძელებულა. მღვდელი ცდილობდა რაც შეიძლება მალე გაეთავებია ის, ბოლოს მორჩა მას, მოულოცა ჯვარდაწერილებს და კარში გამოაცილა. ვაქმა სასყიდელი გაუწოდა, ხუცესმა ღიმლით ჩაიღო ის ჯიბეში და ტაძრის კარების დაკეტვას შეუდგა. მოსულები კი ისევ ეტლისაკენ გაეშურნენ.

ეს იყო მარის ახალი გამარჯვება.

გრ.—ძე.


მენუევიკების ავანტიურა

„აჯანყებულებმა“ ერთ-ერთ სამკითხველოს კვლებიდან ჩამოვლიჯეს: ნ. ლენინის, კ. მარქსის და შ. რუსთაველის სურათები. ჩამოხვედლის მავიერად ჰკიდებდნენ; ნიკო ნიკოლაძის, სრ. ხაქ. პატრიარხის და ნ. ყორღანის სურათებს.

(პროვინციის წერილებიდან).

ჩვენში „მეამბოხებმა“ „ჰქმნეს საქმენი“ საარაკო, სამკითხველოს კვლებს ეცა ჩარჩი—გიგო, მღვდელი—კაკო. სულ დაგლიჯეს სურათები ნ. ლენინის და კარლ მარქსის,

რუსთაველიც არ დაინდეს როგორც ვინმე კაცი თარსი. ჰე, რას იზამთ! საქმე არის ღონესა და მიწოლაზე, დასაკიდათ მიაქვთ სწრაფად ყორღანია, ნიკოლაძე.



მეცნიერება და ტექნიკა

ბიბლიოგრაფია

რა დაინახეს მარსზე?

საზღვარგარეთელ ჟურნალ-გაზეთებში დღე-წყეც ბეჭდება ანგარიშების მარსის გამოკვლევის შესახებ, რომელსაც აწარმოებდნენ ასტრონომები მარსის მოახლოების დროს.

ობსერვატორია იუნგფრაუს მთაზე დიდი მოზადებით შეუდგა მარსის მოახლოების თვალყურის დევნებას. მისი ტექნიკური შესაძლებლობა ძალიან დიდია. ის ერთ საუკეთესო ობსერვატორიით ითვლება დედამიწის ზურგზე. ეს ობსერვატორია ზღვის დონედან დაცილებულია 3.500 მეტრით. მარსის გამოკვლევას აწარმოებდა ორი პროფესორი: ფრანგი კერვენი და გერმანელი შეერი.

კერვენის აზრით იუნგფრაუს ობსერვატორიას უპირატესობა აქვს სხვა ობსერვატორიებზე იმიტომ, რომ ასტრონომიულ კვლევის დროს ატმოსფერა ამ მთაზე არა ჩვეულებრივად დაწყნარებულია ყოველთვის. სხნებულ ობსერვატორიას კერვენი უპირატესობას აძლევს ალჟირის ასტრონომიულ სადგურთან შედარებით, რომელიც მოწყობილი იყო სპეციალურად მარსის გამოკვლევისათვის.

იუნგფრაუს ობსერვატორიის სიმაყეთ ითვლება უზარმაზარი ტელესკოპი, რომლის მოწყობა ასეთ სიმაღლის მთაზე უნდა ჩაითვალოს ტექნიკის დიდ გამარჯვებად. ამ ობსერვატორიას აქვს მარსის შესახებ მასალები, რომელიც დაგროვილია 12 წლის განმავლობაში. ამ მუშაობას აწარმოებდნენ ასტრონომები: არუა და ლოჟი. ზემოხსენებული ტელესკოპი ამ ასტრონომების მიერ არის მოწყობილი.

მიუხედავად მრავალ ასეთი კარგი ტექნიკური პირობებისა, მარსის გამოკვლევის ამოცანა ისევ გაღაუჭრელი დარჩა.

გერმანელმა ასტრონომმა შეერმა, რომე-

ლიც მუშაობდა იუნგფრაუსზე ასეთი აზრი გამოსთქვა მარსის შესახებ: მარსის იმ ნაწილზე რომლითაც ის დედა-მიწას უტყერის ღვას ზამთარი ძლიერ სუსხიანი და თოვლიანი. აგრეთვე შემჩნეული იქნა მის მიერ ყინვის დიდი ვარდინილები, რომლითაც მოცულია პლანეტის ზედაპირი. აგრეთვე შეუმჩნევიათ პოლიუსიდან 20 გრად. დაახლოებით მოშავო ზოლი, — წყალი.

აი, ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც მოგვცა მარსის გამოკვლევა—იუნგფრაუსზე: ასტრონომებს ასეთი აზრი დაეხდათ, რომ მარსი თუ უკვე გაცივებული პლანეტა არ არის—ის ახლო ხანში მაინც გაცივდება და ადამიანის ცხოვრება მასზე არც კი უნდა იყოს შესაძლებელი.

ის დიდი არხები, რომელიც აქამდე იყო იმის დამამტკიცებელი, რომ მარსზე არის ადამიანები დიდი განვითარებული ტექნიკით—ამ უკანასკნელ გამოკვლევის დროს არც კი იქნენ კარგად შემჩნეულნი. ორთავე პროფესორები კერვენი და შეერი თავს იკავებენ სთქვან ამ არხების შესახებ გადამწყვეტი სიტყვა.

რადიო სიგნალები, რომლის შესახებ ისე ბევრს სწერდენ საზღვარგარეთ—ამ გამოკვლევის დროს მკვლევარებმა ვერ დაიჭირეს—რადგან ასეთები არ იყო.

მაგრამ მარსის გამოკვლევა გრძელდება დღესაც და ის იქნება ყოველთვის. ზემოხსენებულ იუნგფრაუს ობსერვატორიაში მოვიდნენ კიდევ მრავალი ასტრონომ-მკვლევარები დასავლეთ ევროპიდან. იქ წასვლას აპირებს აგრეთვე დირექტორი პულკოვის ობსერვატორიის პროფესორი ბლიუზმახი, რომელსაც დიდი სახელი აქვს მოპოებული ასტრონომთა შორის.

ი. მ—ე.

პიესათა კრებული

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა სანიტარული განათლების მიზნით გამოსცა სანიტარული ხასიათის პიესების კრებული, რომელშიაც შედიან შემდეგი ავტორები თავისი პიესებით: 1. ს. წერეთელი: 1. მაღარია, 2. ბატონები, 3. შავი მონადირე, 4. ვინც უტოლდებოდა, 5. ზღვის სიმღერა, 6. ლენინი აღარ გგავს. ვ. დიმიტოვი: 1. 75 წ. შემდეგ, 2. უწინ და ახლა, 3. შხამი, 4. ბურჟი, 5. მთვრალი და ფიზიკი. ექ. ვილი და ზუნტურიდი: 1. ალკოგოლის გასამართლება, 2. დედის გასამართლება, რომელმაც დასტოვა ბავშვი. ვ. თ. ვილი: 1. თვისი აებილათ.

სანიტარული განათლების საქიროება უკვე ყველას მიერ არის აღიარებული. მით უმეტეს, როცა ასეთი განათლება მხატვრულ ფორმებით ვრცელდება ხალხის ფართე მასებში.

ზემოთ დასახელებულ ავტორთა პიესები უსათუოდ შეეფერება სანიტარულ განათლების საკითხებს და ცხადია მისი გამოცემა არ არის უადგილო. პირიქით საქიროა მისი ფართე მასებში გავრცელება, აგრეთვე ამ პიესების მუშათა კლუბებში დადგმა, რადგან ყველამ არ იცის კითხვა, სცენაზე კი თვითველ მუშას საშუალება აქვს გვეცნოს ასეთ პიესების შინაარს.

მე არ შეგებები ამ პიესების მხატვრულ დირებულების გარჩევას, რადგან უმეტესობა მათი ამ მხრივ მოიკოტლებს. მაგრამ მათ აქვს მაინც მნიშვნელობა, ეს გახალავთ სწორეთ სანიტარული განათლებას.

ჩვენში გავრცელებულია სხვა და სხვა სნეულებანი. ხალხი ჯერ კიდევ ვერ იცნობს ამ სენებს და მათ საწინააღმდეგო საშუალებებს,

თუმცა ზემოთ ჩამოთვლილი პიესები არც ექიმის „რეცეპტია“, მაგრამ მკითხველი თუ მაყურებელი აშკარად დაინახავს თუ როგორ ჩაგრავს ხალხს ქლექი, ალკოგოლი, სხვა და სხვა სახადები, საიდან წარმოსდგებიან ისინი და სხვა.

კარგია ს. წერეთლის პიესა: „ზღვის სიმღერა“ მასში აშკარად სჩანს თუ როგორ და პირობებში ჩნდება და ვითარდება ქლექი.

აგრეთვე მისი „შავი მონადირე“ ეს პიესაც კარგად დაწერილია შავი სენის წინააღმდეგ და წარმოადგენს ამ სენის საწინააღმდეგო ატიცაციას.

კარგია აგრეთვე ვ. თ. ვილი და ე. ზუნტურიდის პიესა: „მოფერი ბუტიკინის გასამართლება, რომელმაც სიმთვრალის დროს ავტომობილით გასრისა მოქ. სტოლტოვი“.

სამეპროლოს „აჯანყების“ სინამდვილიდან



ივრპკვიან „ეროვნულ თავისუფლებისათვის“

მათივე პიესა: „დღის გასამართლება, რომაც დასტოვა ბავშვი“. ეს პიესები უსათუოდ არიან სადა და გასაგები უბრალო მკითხველთათვის.

კარგა დიდი ნაწილი წიგნისა უჭერია ს. წერეთლის პიესებს. ეს პიესები კარგია, ყველაწინი ქართულ ყოფაცხოვრებას შეეხებიან. მაგრამ ჩემის აზრით „ლენინი აღარ გვყავს“ არ უნდა

დაბეჭდილიყო ამ კრებულში, იგი მის შინაარს არ შეეფერება.

ნ. დიმივის პიესა „75 წ. შემდეგ“ კარგად იკითხება, საერთოდ წიგნი ლამაზათ გამოცემულია და კარგ ქაღალდზედაც არის დაბეჭდილი. ღირს 2 მან. 50 კაპ. რაც ძალიან ძვირია.

ჩინი.



© კ ი ნ ი ლ ე

ბ რ ს ვ თ ი .

● **„ნიბელუნგები“**. სევზაპკინომ შეიძინა საუკეთესო გერმანული სურათი „ნიბელუნგები“, რომელიც შესდგება ორი სურათიდან: „ზიფრიდი“ და „კრიმკილდს შურისძიება“.

● **8 სურათი მერი პიკოვრდის მონაწილეობით**. სევზაპკინომ შეიძინა 8 ახალი სურათი ცნობილი მსახიობ ქალის მერი პიკოვრდის მონაწილეობით, მათ შორის „პატარა ლორდის თავდადასავალი“, „როზიტა“ და „ლოროტი ვერონა“.

● **„ლენინის გვარის დასასრული“**. სევზაპკინომ უკვე დაასრულა გადაღება სურათის „ლენინის გვარის დასასრული“. მთავარ როლს ასრულებს ნაქსიმოვი.

● **„პეტრე დიდი“**. სევზაპკინომ გერმანიიდან მიიღო სურათი „პეტრე დიდი“ მსახიობ იანიტის მონაწილეობით.

● **წითელი პარტიზანები**. „წითელი პარტიზანების“ გადაღება უკვე დაიწყო. სურათი ხატავს გლეხობის მოძრაობას კოლხაის წინააღმდეგ.

● **„ერთი ოცთავან“**. გადაღებულია სურათი „ერთი ოცთავან“, რომელიც ხატავს პოლიტკატორღელების ცხოვრებას.

● **„ტარას ბულბა“**. „კინო-მოსკვიამ“ შეიძინა სურათი „ტარას ბულბა“ (გოგოლის მიხედვით) სურათი გადაღებულია მიუნხენში (გერმანია).

● **„იმედის დაღუპვა“**. გეიერმანის დრამა „იმედის დაღუპვა“ გადააკეთეს ეკრანისათვის. სურათი უკვე გადაღებულია და საბჭოთა კავშირისათვის შეიძინა კინო-მოსკვას.


● **„ქიმიკა სოფლის მეურნეობაში და სამხედრო საქმეში“**. გოსკინომ უკვე გადაიღო სურათი „ქიმიკა სამხედრო საქმეში და სოფლის მეურნეობაში“.

● **კომკავშირის მეექვსე ყრილობა** პროლეტკინომ გადაიღო სურათი „კომკავშირის მეექვსე ყრილობა“.

● **ვოლზოვის ელესაღვრი ეკრანზე**. პროლეტკინომ გადაიღო ვოლზოვის პილოტი ელექტრო სადგურის აგების სამუშაოები.

აჭრბევიჯანი.

● **ჯუღუფის გზა**. აზერბეიჯანის კინომრეწველობამ გამოუშვა სურათი „პაქო-ჯუღუფის გზის აგება და გახსნა“.



ხელოვნების ქრონიკა

განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა გამოსცეს თავისი მუშაობის შესახებ სტატისტიკური კრებული.

პიესების კრებული. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანგანათლების განყოფილებაში გამოსცა პიესათა კრებული, რომელშიაც შედის ს. წერეთლის და დიმივის პიესები.

წიგნი „კოცონთან“. გამოვიდა და იყიდება საბავშვო წიგნი „კოცონთან“.

ალ. მაშაშვილის (ბუმერანგ) ლექსების წიგნი. გამოვიდა და იყიდება პროლეტარულ პოეტის ალ. მაშაშვილის ლექსების წიგნი: „მერჩხები“.

სანიტარული რუკები. შრომის დაცვის განყოფილებაში სანიტარული ინსპექცია შეუდგა სანიტარული ხასიათის რუკების შედგენას.

„პატარა იაპონელები“. გამოვიდა და იყიდება საბავშვო წიგნი: „პატარა იაპონელები“.

წიგნები სოფლებისათვის. ტფ. პოლიტ. განათლების განყოფილებამ წლის განმავლობაში სოფლებში დაგზავნა 15,000 ცალი წიგნი.

საოპერო დასი. საოპერო დასის შეკრება უკვე დაიწყო. იქნებიან მიწვეულნი ახალი მომღერლები.

წითელი თეატრი. წითელი თეატრის რუსული სტუდია დაბრუნდა მოგზაურობიდან.

პროლეტკულტის ქართული ხეჭტორი. პროლეტკულტის ქართულმა სექტორმა 10 სექტემბრიდან დაიწყო მუშაობა.

მელვინობა. გამოვიდა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის გამოცემით კ. მოღვაძის წიგნაი: „მელვინობა“.

საქ. გეოგრ. საზ. „მომავლ.“ გამოვიდა საქ. გეოგრ. საზოგადოების „მომავლ.“ №1 ჰროფ. ალ. ჯავახიშვილის რედაქტორობით.

წიგნი მესაქონლეობაზე. გამოვიდა ავრანოზ რ. გედევანიშვილის წიგნი: „მესაქონლეობა“.

ახალი რომანი: „ოჯახი“. ს. თალაკვაძემ დასწერა რომანი: „ოჯახი“. რომანი შესდგება სამ ნაწილისაგან, რომელიც წაკითხული იქნა ეიწრო წრეში და მოწონებული.

„რევოლუციის მატთანე“ იბეჭდება და სექტემბრის ბოლო რიცხვებში გამოვა ჟურნალი „რევ. მატთანე“.

შრომის კომისარიატის ბიულეტენი. ამ დღებში გამოვა შრომის კომისარიატის ბიულეტენის მორიგი ნომერი.

ი. ჯიშკარიანის წიგნი. გამოვიდა ი. ჯიშკარიანის წიგნი: „აზიისა და კავკასიის სახელწოდებათა წარმოშობის საკითხისათვის“.

ავღაბრის მუშათა კლუბის გახსნა. 14 სექტემბრიდან გაიხსნა ავღაბრის მუშათა კლუბი.

გრ. კალანდარიშვილმა დასწერა პროლეტარულ პოეტების პორტრეტები. წიგნი გამოვა ახლოხანში.

კინო „სოლიელი“. 18 სექტემბერს გაიხსნა კინო თეატრი: „სოლიელი“.

შალიაპინი საზღვარ გარეთ. მომღერალმა შალიაპინმა საშემოდგომო და საზამთრო სეზონისთვის ხელშეკრულება დასდო ჩიკაგოს თეატრთან.

წითელ თეატრში. პროლეტ. პოეტები: ტანდიტი და ნ. დუბენსკი სწერენ ინსცენირებას პროლეტკულტის თეატრისათვის: „მწმევიკების აფანტიურა“.

საქარ. კინომრეწველობა. საქ. კინომრეწველობის დირექციის მიერ იქნა გადაღებული სურათი: „თბილისის პროლეტარიატი—მწმევიკური ბანდების თავდასხმის გამო“.

ოვანეს თუმანიანი ქართულად. სახ. გამოცემლობამ გამოსცა სომეხ პოეტის ოვანეს თუმანიანის ნაწარები.

„დაკარგული საუფნე“ საქ. კინო მრეწ. დირექციამ დაამთავრა სურათი: „დაკარგული საუფნე“.

1-ლი ინტერნაციონალის 60 წლის თავი. იბეჭდება და ამ დღებში გამოვა წიგნი: „1-ლი ინტერნაციონალის 60 წლის თავის შესახებ“.

კამოს ძეგლი. პუშკინის ბაღში უკვე შეუდგენ კამოს ძეგლის დადგმას.

ნ. ინახარიძემ დასწერა ახალი პიესა: „გრიგალი“, რომელიც მოწონებული იქნა პროლეტკულტის რეჟისორთა კოლეჯის მიერ.

ახალი წიგნი. გამოვიდა და იყიდება წიგნი „შრომის ისტორია“—ტიუმენევი თარგმნილი რუსულიდან.

„მსოფლიო ომი“. გამოვიდა და იყიდება წიგნი: „მსოფლიო ომი“ გ. მუშიშვილის.

სანიტ განმნათლებელი გამთფენა. ს. ჯანმრთელობის განყოფილება ახლო ხანში დიდებში, ნავთლულში და გერაზე მოაწყობს თავის სანიტარულ-განმნ. გამოუფენას.

ქართული სახელმწიფო დრამატული თეა-

ტრის ხეზონი ტფილისში ვაიხსნება ოქტომბრის შუა რიცხვებში, შედგენილია რეპერტუარი, სამხატვრო ნაწილის გამგეთ მოწვეულია კვლავ კ. მარჯანიშვილი, ხოლო რეჟისორათ კი ალ. ახმეტელი. დასს მომზადებული აქვს რამოდენიმე ახალი პიესა.

წითელი თეატრი. სახალხო სახლი ყ. ზუბა-ლავილისა გადაეცა წითელ თეატრს. ქართულ სექციას ხელმძღვანელობენ ალ. წუწუნავა და დ. კობახიძე, ხოლო რუსულს კი ივ. ნატოვი. დაიდგმება განსაკუთრებით რვევოლუციონური პიესები.

სიმფონიური კონც ტები. საქ. პროფკავც ცენტ. კლუბში მთელი ზაფხულის განმავლობაში იმართებოდა სისტემატიურათ სიმფონიური კონცერტები, რომლებზედაც მრავალი მუშა და ინტელიგენცია ესწრებოდა. კონცერტებს ხელმძღვანელობდა სტოლერმანი.

„საუნჯე“. ქალაქის აღმასკომთან არსებულ ჯანმრთელობის განყოფილება სცემს ყოველ-

თვიურად პოპულიალურ სამეცნიერო ჟურნალს „საუნჯე“-ს.

ახალი რეჟტორი. სახელმწიფო კონსერვატორიის რეჟტორათ მოწვეულია მოსკოვის კონსერვატორიის რეჟტორი და კომპოზიტორი იპოლიტ-ივანოვი, რომელიც ამ დღეებში ჩამოდის ტფილისში და შეუდგება მოვალეობის აღსრულებას.

აკაკი ფაღავა. სახელმწიფო კონსერვატორიის პრორექტორათ დანიშნულია ქართულ დრამის რეჟისორი აკაკი ფაღავა.

ახალი თეატრი. ოქტომბრიდან ყ. ქართულ კლუბის თეატრში დაიწყება წარმოდგენები სატირის და იუმორის თეატრისა.

პლენხანოვის თეატრი ამ თეატრთან დაარსდა ქართულ რეჟისორთა კოლეგია, რომელიც გამართავს სისტემატიურათ ქართულ წარმოდგენებს.

მომღერალი თამარ წერეთელი. რუსეთში სავასტროლოთ გაემგზავრა მომღერალი თამარ

წერეთელი, რომელიც მიწვეულია ცენტრალურ ქალაქებში კონცერტებზე

„პირველი ნაბიჯი“. სახელმწიფო კინომ დაამთავრა გადაღება სურათისა „პირველი ნაბიჯი“-ს გიორგი წერეთლის რომანიდან. მთავარ როლებს ასრულებდნენ ვაჩნაძისა და მიხ. გელოვანი.

„ჩვენი დროის გმირი“ სახელმწიფო კინო ამთავრებს ნინოშვილის რომანიდან აღებულ სცენარის „ჩვენი დროის გმირის“ ანუ „ტარიელ მკლავაძის“ გადაღებას. მონაწილეობენ ქართველი მსახიობნი.

პოლიტიკური ცირკი 18 სექტემბერს ცენტრალურ მუშათა კლუბში ანენსკის რეჟისორობით გაიმართა სააგიტაციო ბუფონადა.

„საბჭოთა რესპუბლიკას“ ახალგაზდა კომპოზიტორმა ჩუგუნოვმა დასწერა ახალი ჰიმნი „საბჭოთა რესპუბლიკას“ ჰიმნი დიდი ამბით შესრულებულ იქნა მუშათა კლუბებში.

გაზეთი „კომუნისტი“

ვიიღებთ ხელის მოწეკა

ოქტომბრისათვის

დაიწყო

შეგიკავებთ უზასოდ

პრემიების დაკრებივა

სამი და ექვსი თვით ხელისმოგწერთათვის

„ჩირალდანი“ ურიგდება გვს. „კომუნისტი“-ს ყველა ხელისმოგწერთათ